სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ხიმშიაშვილი

● №2 (4601) ● 30 მარტი ● 2022 წელი ● saxgani@gmail.com ● ფასი 1.50 ლარი

ნომრის სტუმარი - 106-ე სკოლა

კათედრის მუშაობა და აი, ასეთი მწამს მხარში დგომა!

„**დედაენას**” იაკობ გოგებაშვილმა **„ბურჯი ეროვნებისა”** უწოდა. **გიორგი ჭალადიდელმა** კი დაწერა: თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის, ყოველი შრომა დაკარგულია”. ე. ი. დაწყებით კლასებში მშობლიური ენა აღზრდა-განათლების საფუძველთა საფუძველია და მისი სწავლება მყარი უნდა იყოსო.

ეს ჭეშმარიტება შესანიშნავად აქვს გათავისებული სკოლის დირექტორს **თენგიზ გულორდავას,** მის გამოცდილ მოადგილეს **ნაზი სეთურიძეს**, დაწყებითი განათლების კათედრის ყველა წევრს.

ამ სკოლაში დირექტორად მოსვლისთანავე ბატონმა თენგიზმა პრიორიტეტულ პროექტად დასახა სწავლების დაწყებითი საფეხურისთვის სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცება და შეასრულა კიდევაც. გარდა ამისა, დიდი წვლილი შეიტანა უკრაინელთა დახმარების აქციაში. ამაზე მოგვითხრობს ამ სკოლის პედაგოგ-ჟურნალისტი **ინა მეცხვარიშვილი.**

* * *

თბილისის 106-ე საჯარო სკოლას თავისი სახელოვანი ისტორია გააჩნია. ბოლო შვიდი წელია, რაც სკოლა უწყვეტ წარმატებულ და ნაყოფიერ მუშაობის ხანას გადის. სწორედ ამ დროიდან დაიწყო სკოლაში მოსწავლეების რაოდენობის ზრდა, ბოლო 7 წელია, რაც სკოლა 7 პარალელურ პირველ კლასს ხსნის. მრავალფეროვანი სასწავლო გარემო, რომელსაც ქმნის მაღალკვალიფიციური პედგოგთა გუნდი სკოლის ხელმძღვანელთან ერთად, მშობელთა ნდობას იმსახურებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სკოლა, თავის რეგიონში, ძალიან მოთხოვნადი გახდა და გაითქვა სახელი.

უანგარო სიკეთე და მისაბაძი თანადგომა

თითოეული საქართველოს მოქალაქე ზუსტად იაზრებს რა არის ომი...

თითოეულ ჩვენგანს გვტკივა ,განვიცდით და უკრაინას სოლიდარობას ვუცხადებთ.

საქართველო რომ უკრაინის გვერდით არის, ამაში ქმედითი წვლილი ჩვენს სკოლასაც მიუძღვის.

სკოლის ხელმძღვანელის, ბატონი **თენგიზ გულორდავას** წამოწყებული, ყოველწლიური სასკოლო ქველმოქმედების წყალობით, ერთობლივად ვეხმარებით ხოლმე ჩვენს ირგვლივ მყოფ ადამიანებს. ამჯერად კი, ჩვენს დახმარებას გულით ვუგზავნით გმირ და მებრძოლ უკრაინელებს!

„ჩვენი სკოლის საამაყო და ღირსეულო მოსწავლეებო,მოსწავლეთა მშობლებო, ჩემო უძლიერესო პედაგოგებო!

დღეს 16 მარტს თქვენს მიერ ძალიან დიდი რაოდენობის (ბავშვთა კვება და პამპერსი, მედიკამენტები, ჰიგიენის საშუალებები, ტანსაცმელი, არამალფუჭებადი პროდუქტები) ჰუმანიტარული დახმარება უკრაინელი მოსწავლეებისთვის მივიტანეთ მიმღებ პუნქტში და ჩავაბარეთ. როგორც მოგვაწოდეს ინფორმაცია ჰუმანიტარული ტვირთი დღესვე გაიგზავნება უკრაინაში.

მინდა ჩემი სახელით ყველას უღრმესი მადლობა გითხრათ უკრაინელი მოსწავლეების ასეთი დიდი თანადგომისთვის.

ასმეექვსელებო! ძალიან მაგრები ხართ. მეამაყებით.

დიდება უკრაინას!

დიდება გმირებს!

საქართველო გაბრწყინდება!

მშვიდობა მსოფლიოს!

სიკეთე გადამდებია!

ძალა ერთობაშია!” ეს სიტყვები ბატონ **თენგიზ გულორდავას** ეკუთვნის. სწორედ მისი და მთელი სასკოლო გუნდის დიდი მონდომების დამსახურებაა, რომ ასმეექვსე სკოლა ქმედებებით უჩვენებს თავის მოსწავლეებს, როგორ ჩამოყალიბდნენ ნამდვილ, ღირსეულ ადამიანებად!

ახლა კი მოგითხრობთ დაწყებითი საფეხურის კათედრის საქმიანობის შესახებ.

ჩვენს სკოლაში დაწყებითი საფეხური 7-7 პარალელურ კლასს მოიცავს. შესაბამისად, დაწყებითი კლასების კათედრა შედგება 28 წევრისგან.

I კლასების დამრიგებლები: **ლია გასიტაშვილი, რიტა ყიფშიძე, ლელა თენიეშვილი, თეკლა ჯაფოშვილი, ნატალია მიმინოშვილი, ნატა მუშკუდიანი, ნონა ღვინიაშვილი.**

II კლასების დამრიგებლები: **ფატი სამნიაშვილი, ხათუნა გასიტაშვილი, მაია გურასაშვილი, გალინა მეცხვარიშვილი, თამთა ქვაჭრელიშვილი, თამუნა შოშიაშვილი, მაია ზაალიშვილი.**

III კლასების დამრიგებლები: **მარიკა სანიკიძე, ელზა ჭიკაძე, თეონა ბექაური, ნათია ვარძელაშვილი, ნინო მინაშვილი, ანა შოშიაშვილი, თინათინ ცერცვაძე.**

IV კლასების დამრიგებლები: **მარინა კუპატაძე, შორენა იმედაშვილი, სოფიკო მეხაშიშვილი, ქეთევან მიქაძე, მარიკა სანიკიძე, მეგი გუმბერიძე, ვერიკო ხელაია.**

სემესტრის განმავლობაში მოგვიწია ე.წ. ჰიბრიდულ ფორმატში მუშაობა. შესაბამისად, მასწავლებლების მიერ შეიქმნა მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსი. მასწავლებლები ხელმძღვანელობდნენ ესგ-ით, ატარებდნენ სადამრიგებლო საათს. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობისას მათ დიდ დახმარებასა და თანადგომას სპეც. მასწავლებლები და ფსიქოლოგი უწევთ. მასწავლებლები სხვადასხვა პროექტებითა და ახალი წამოწყებებით ცდილობენ მოსწავლეებსა და მათ ოჯახებს პანდემიით გამოწვეული სტრესული გარემო შეუმსუბუქონ და სასწავლო პროცესმა რაც შეიძლება მეტი სარგებელი მოუტანოს მოსწავლეებს.

რაც შეეხება, აქტივობებს, თითქმის ყველა კლასი ჩართული იყო სასკოლო პროექტში **„ბრძოლა გარემოსდაცვით გამოწვევებთან”.** პროექტის ფარგლებში ბავშვებმა დაასუფთავეს საკუთარი საცხოვრებელი ადგილის მიმდებარე ტერიტორია, მოიფიქრეს სლოგანები და დაამზადეს პლაკატები, რომლითაც თანატოლებს მოუწოდებდნენ გარემოს დაცვისაკენ.

მოსწავლეთა ნაწილი კვლავ აგრძელებს საგანმანათლებლო პორტალ **izrune.ge** - ის ტესტებზე მუშაობას.

აქტიურად მონაწილეობენ **„ქინგსისა”** და **„ევერესტის”** ოლიმპიადებზე, რომლებიც, ამ ეტაპზე, ონლაინ ფორმატში იმართება. მოსწავლეები ჯილ-

→ *გაგრძელება მე-2 გვ.*

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

მე-9 საჯარო სკოლაში

„საქმენი საგმირონია" ძნელბედობის ჟამს



გმირობაზე ნაკლები რით არის, როცა სამ ფრონტზე ბრძოლაში იმარჯვებ. პირველი ფრონტი არის კორონა ვირუსი, მეორე - ურთულესი პირობებში ჰიბრიდული სწავლებისთვის წარმატებით თავის გართმევა, მესამე სირთულე ახლახან დაემატა - რუსეთ-უკრაინის ომი, რომელიც დამატებით ძალისხმევას მოითხოვს. ამ ბრძოლაში კი ერთსულოვანია დირექცია და პედკოლექტივი.

ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ დირექტორი **მარინე გიგაური**, მოადგილე **ელეონორა თვარაძე,** ძლიერი პედაგოგები და სკოლის ყველა მუშაკი მეგობრობენ, მხარში უდგანან და თანამშრომლობენ ას წელს მიღწეულ მასწავლებელთა გაზეთ „სახალხო განათლებასთან". „ეძიებდე და ჰპოვებდეო", ყველა სიახლეს ფეხს უწყობენ. რაში გამოიხატება ყოველივე ეს? მინდოდა ამ თემაზე ვრცლად მესაუბრა, მაგრამ სკოლიდან ისეთი კომპეტენტური ინფორმაცია მივიღე, ხელი ავიღე განზრახვაზე. ზოგად მსჯელობას ყოველთვის სჯობს კონკრეტიკა.

* * *

ნოდარ ახალკაცის სახელობის ქალაქ თბილისის 9-ე საჯარო სკოლამ მეორე სემესტრი მკაცრი რეგულაციების დაცვით და სკოლაში სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებით დაიწყო.

მიუხედავად პედაგოგთა ნაწილის ინფიცირებისა, სკოლამ ერთკვირიან დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის პერიოდშიც შეძლო სასწავლო პროგრამის გავლა. სასწავლო ნაწილის გამგე დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა და ეკიდება მასზე დაკისრებული გაკვეთილების ცხრილის დროულად შეცვლა-შედგენას. უნდა აღინიშნოს სკოლის მოსწავლეების მონდომება, მათი გახარებული სახეები, რომ სკოლაში მონატრებულ საკლასო ოთახში უტარდებათ გაკვეთილები. საყვარელ პედაგოგებთან საუბარი და ხალისიანი განწყობა. ჩაერთონ სასკოლო ღონისძიებებში, კონკურსებში, პროექტებში და ა.შ.

სკოლამ მონაწილეობა მიიღო გაეროს ფონდის „**UNISEF**" მხარდაჭერით კლუბი „**სინერგიას**" მიერ ორგანიზებულ პროექტში - **„მოზარდების ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერა COVID-19-ის პერიოდში სკოლაში დაბრუნებისას".** აღნიშნულ პროექტში საქართველოს მასშტაბით მონაწილეობდა 20 მოსწავლე, აქედან მე-10 კლასის მოსწავლეები **ალექსანდრე გიგინეიშვილი** და **თინათინ კუთარაშვილი** შეირჩნენ ჩვენი სკოლიდან.

21 მარტი მსოფლიოში დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეა იყო, ამ დღესთან დაკავშირებით სკოლა სათანადოდ მოემზადა, სკოლის ინკლუზიური განათლების სპეციალისტებმა მოამზადეს საინფორმაციო ბუკლეტები, პლაკატები,ლოგოები ,გამოფინეს სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფებსა და საკლასო ოთახების კარებზე, ასევე დწყებითი კლასების დამრიგებლებმა კლასებში თემატური გაკვეთილები ჩაატარეს, რამაც მოსწავლეებში ხელი შეუწყო ცნობიერების ამაღლებას დაუნის სინდრომის მიმართ.

1 აპირილისათვის იგეგმება ღონისძიება **„აუტიზმის დღესთან".**

ჩვენი სკოლა გამორჩეულია მრავალფეროვან ღონისძიებებში, კონფერენციებში, პროექტებში და ოლიმპიადებში მონაწილეობით. პანდემიის დასრულების შემდეგ, სკოლა კიდევ უფრო დიდი შემართებით გააგრძელებს სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვასა და მათ განხორციელებას.

ამ წერილში ყველა კითხვაზე პასუხი გაცემულია. თითქოსდა, მშრალი სტატისტიკის უკან დგას „ოფლგამომდინარე" მაღალი შედეგებისკენ, გამარჯვებისკენ ორიენტირებული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი.

ბორის მიშველაძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

ნომრის სტუმარი - 106-ე სკოლა

კათედრის მუშაობა და აი, ასეთი მწამს მხარში დგომა!

პირველი გვერდიდან

დოვდებიან სიგელებითა და სერთიფიკატებით. III[4] კლასის მოსწავლეებმა ამერიკის საელჩოს საზაფხულო გამოწვევებშიც მიიღეს მონაწილეობა.

ქართულის სახელმძღვანელოს სტრუქტურიდან გამომდინარე, მასწავლებლებს ხშირად უწევთ სხვადასხვა **პროექტზე** მუშაობა, ვინაიდან ყოველი თავი სწორედ პროექტით ჯამდება.

ყველა კლასი მუშაობს კურიკულუმით გათვალისწინებულ **კომპლექსურ დავალებებზე.**

პირველ კლასებში ჩატარდა გაკვეთილი-ღონისძიება **„სტუმრად ანბანეთში"**

პანდემიის პირობებშიც კი, აქტიურად იმართება გასვლითი ღონისძიებები. დაწყებითი კლასების მოსწავლეები ესტუმრნენ:

თბილისის ციფრულ სივრცეს, ხელოვნების სასახლეს, ხის სათამაშოების შემქმნელ სახელოსნო „კოდალა"-ს, ექსპერიმენტორიუმს, ზოოპარკს, **„დედაენის"** ბაღს.

ყველა კლასმა მიიღო მონაწილეობა სკოლის ტრადიციულ საქველმოქმედო ღონისძიებაში - **„სიკეთის აქცია"**, რათა სოციალურად დაუცველი თანასკოლელებისთვის გაელამაზებინათ ახალი წელი. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა მზრუნველმა ოჯახებმა დიდი წვლილი შეიტანეს უკრაინელი ხალხის დასახმარებლად წამოწყებულ თანადგომის აქციაში.

დაწყებითი საფეხურის კათედრის თითოეული წევრი დიდ ენერგიასა და ძალისხმევას დებს თითოეულ განხორციელებულ გაკვეთილში, რათა ყველა მოსწავლეს მიეცეს შესაძლებლეობა განავითაროს ის მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები, რომლებიც თანამედროვე სამყაროში წარმატებული ორიენტირებისთვისაა აუცილებელი.

ანი მეცხვარიშვილი

შპს „ცოდნა" - თაობათა ცხოვრებისთვის მომზადების კერაა

აქ „უხილავ საუნჯეთა" მფლობელთ ამრავლებენ

სკოლის მერხიდან მოგვდევს დავით გურამიშვილის სიბრძნე: „ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომსაც დაეტარების, აქვს უხილავი საუნჯე, ხელ არ შაეკარების"

აგერ მეოთხედი საუკუნეა „მცოდნელთა" აღზრდის კერას რუდუნებით უძღვება დიდი დირექტორი ლიცეუმისა **ნაზი ნადირაძე.** მას მხარს უმშვენებენ შემოქმედი მოადგილეები: **ნინო მელქაძე, რუსუდან ფარეხელაშვილი** და ძლიერი, შრომისმოყვარე პედაგოგები.

ძალიან მახარებს ას წელს მიღწეული გაზეთის ამ კოლექტივთან შემოქმედებითი თანამშრომლობა. მუდამ იყვნენ და არიან ჩვენი უღალატო თანამდგომი, დამხმარე.

ჰოდა, მინდოდა მათ ახალ მიღწევებზე საუბარი, მაგრამ ისეთი ბრწყინვალე, პროფესიონალის ხელიდან შეთხზული წერილი მივიღე ლიცეუმიდან, როგორც ილია იტყოდა, კალამი ძირს უნდა დავდო და გზა **ლია ბაზაძეს** დავუთმო. გთავაზობთ ამ სტატიას უცვლელად.

რედაქტორი

„ცოდნა" სინათლეა...

„როდის არის მოსწავლე მოტივირებული,შემოქმედებითი, პროდუქტიული და ბედნიერი?

ამ კითხვას დასტრიალებს თანამედროვე განათლების მესვეურთა ფიქრი, ამ მიზნით ხორციელდება ზოგადი განათლების რეფორმა, რაც ახალი ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასწავლო პროცესში მრავალმხრივი, კომპლექსური მიდგომების დანერგვას,მოსწავლეზეორიენტირებულ, დიფერენცირებულ სწავლა-სწავლების პროცესს გულისხმობს.

სკოლა-ლიცეუმი **„ცოდნა"** კვლავ დიდი ენთუზიაზმით, ნაბიჯ-ნაბიჯ, კონსტრუქციული თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის პრინციპების გათვალისწინებით დიდი პასუხისმგებლობით მიჰყვება სიახლეებს და ცდილობს შექმნას ყველა პირობა მოსწავლეთა მიღწევების გასაუმჯობესებლად.

სკოლის დირექცია (დირექტორი ქალბატონი **ნაზი ნადირაძე**) ყოველთვის უზრუნველყოფს პოზიტიური სასკოლო და საკლასო გარემოს ჩამოყალიბებას, შიდა

სასკოლო და გარე სასკოლო აქტივობების ინიცირებას. ფორმალურ განათლებასთან ერთად არაფორმალური განათლების წახალისებას, თავისუფალი მიდგომებით, გასვლითი ღონისძიებებით, საკლუბო მუშაობით , პროექტებითა თუ პროგრამებით, რაც მნიშვნელოვნად ხელს უწყობს მოსწავლის ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი მიდრეკილებების გამოვლენას. ანალიტიკური, კრიტიკული აზროვნების, სოციალური და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას.

რომელი ერთით დავიწყოთ ?..

სკოლის ცხოვრება მუდმივად დატვირთულია მრავალფეროვანი ,მოსწავლის ინტერესებზე მორგებული, სასწავლო-შემეცნებითი ღონისძიებებით .

ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურულ ცენტრ **„მუზაში"** წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია **„მე მიყვარს საქართველო"** (კომპოზიციის ავტორი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **დარეჯან ცხომარია**). **ლადო ასათიანის, მუხრან მაჭავარიანის ,მურმან ლებანიძის** პოეზიის ემოციურმა მუხტმა ,მოსწავლეთა დიდი მხატვრული ოსტატობით წაკითხულმა ლექსებმა მსმენელთა აღფრთოვანება გამოიწვია. **(იხ. ფოტო N1)**

მათ ასევე მონაწილეობა მიიღეს აკადემია ,,გვირილას" საქველმოქმედო საღამოში **,,სიკეთე გადამდებია".** (ორგანიზატორი აკადემიის დამფუძნებელი, მუსიკოსი ერნა ნიფურია). **(იხ. ფოტო N2)**

სკოლის ერთ-ერთი გამორჩეული ,მასშტაბური პროექტის **,,ქართული ფესვების"** ფარგლებში წელს სკოლას ქ.სტამბულის შოთა რუსთაველის საზოგადოების თავჯდომარე **სალომე ბარამიძე (სეზან ქონენჩ ოქჩანი)** ესტუმრა. სტუმრებმა პირველკლასელებს საჩუქრად გადასცეს სტამბოლის შოთა რუსთაველის საზოგადოების წევრების, **მერი დიასამიძისა** და **სოფო ბოლქვაძის** მიერ გამოგზავნილი წიგნები. **(იხ. ფოტო N3 და N4)**

სკოლაში არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით ფუნქციონირებს კლუბები: საბუნებისმეტყველო კლუბი **,,life"** (დამფუძნებელი ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელი **რუსუდან ფარეხელაშვილი**) ,ფიზიკის კლუბი **,,oqta core"** (ხელმძღვანელი ფიზიკის მასწავლებელი **ბელა თოდუა**) ,ლიტერატურული კლუბი **,,ლიტერატო",** დებატკლუბი **,,ერუდიტები"** (ხელმძღვანელი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **დარეჯან ცხომარია**) და მათემატიკის მოყვარულთა კლუბი **,,მოაზროვნე"** (ხელმძღვანელი **ციცო ცაბაძე**).

კეთებითა და აღმოჩენებით სწავლების შესანიშნავი შესაძლებლობა ეძლევათ მოსწავლეებს მრავალფეროვანი აქტივობებით: ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის კლუბის **„ოქტაქორას"** წევრები (IX,XI კლასის მოსწავლეები)

და კლუბის ხელმძღვანელი **ბელა თოდუა, რუსუდან ფარეხელაშვილთან,** ერთად სტუმრობდნენ მასწავლებლის სახლში საბუნებისმეტყველო საგნების მხარდაჭერის პროგრამა **,,ჩხირკედელას".** მოსწავლეებმა მოისმინეს **ნუგრაზ მოსულიშვილის** და **კახა ულენტის** ლექცია. თავიანთი ხელით ააწყვეს ჭკვიანი შუქნიშანი და ხმაზე მორეაგირე ნათურა. **(იხ. ფოტო N5)**

აღსანიშნავია, X კლასის მოსწავლის სალომე ქობელაშვილის მონაწილეობა ასოციაცია **,,ბიოს"** ორგანიზებით ჩატარებულ

მოსწავლეთა კონფერენციაში - **„მიკროორგანიზმები ჩვენ გარშემო"** თემით **„სასარგებლო ორგანიზმები".**

დაიგეგმა პროექტი **,,ჯანსაღი ცხოვრება - HEALTHY LIF",** რომლის ფარგლებში ჩატარდება სასკოლო კონფერენცია, მხიარული სტარტები, მოეწყობა ლაშქრობა და სხვა მრავალი აქტივობა, რაც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს მოსწავლეთა პირადი პასუხიმგებლობის გაზრდას საკუთარი თავის , საზოგადოებისა და გარემოს მიმართ.

შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება თანამედროვე განათლების სისტემის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, ამ რთული სააზროვნო უნარების განვითარებას ემსახურება ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ლიტერატურული დებატკლუბების მუშაობა საინტერესო თემატიკით: **,,პიროვნების ჩამოყალიბება - აღზრდა თუ ბუნება" (აკაკი წერეთლის** პოემა **„გამზრდელის"** მიხედვით); **მიხეილ ბულგაკოვის** რომანის **„ოსტატი და მარგარიტა"** წაკითხვის შემდეგ ფილმის ჩვენება-განხილვა და ა. შ.

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ინიციატივით ამუშავდა სასკოლო რადიო - **„ცოდნანიუსი",** დიდ შესვენებაზე მოსწავლეებს საშუალება აქვთ წაიკითხონ მათთვის გამორჩეული ავტორების ლექსები

და პოეზიის შთამაგონებელი წუთებით დატკბნენ. **(,,პოეზიის ხუთი წუთი"). (იხ. ფოტო N13)**

სკოლა ანებივრებს თავის მოსწავლეებს სეზონური ,ულამაზესი გამოფენებით ,სახალისო პროექტებით ,გასვლითი გაკვეთილებითა თუ ღონისძიებებით: **,,ცოდნასფერი შემოდგომა",** საახალწლო ზღაპარი **„ცოდნაში",** სოციალური პროექტი **„უარი ვთქვათ მავნე ჩვევებზე,ვიკვებოთ ჯანსაღად";** სასწავლო პროცესში დიდი ყურადღება ექცევა ასევე მრავალფეროვან მიზნობრივ-შემეცნებით ექსკურსიებს **(„შოკოლადი-მუზეუმი"**, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში, **დავით ბააზოვის** სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმი, გალაკტიონ ტაბიძის მემორიალური მუზეუმი ,ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი და ა.შ) **(იხ. ფოტო N6, N7 , N8 და N9)**

სკოლა-ლიცეუმ ,,ცოდნას" ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ დაწყებითი კლასის ულამაზეს ,სიკეთით და სითბოთი სავსე მოსწავლეებს თავიანთი ბრჭყვიალა და ფერადი აქტივობებით . მათ ბედნიერ ღიმილზე ,თითოეულ წარმატებულ ნაბიჯსა და წინსვლაზე დღენიადაგ ზრუნავენ მათი პროფესიონალი მასწავლებლები.

სკოლაში ძალიან ლამაზად აღინიშნა დედის ღღე , დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე, წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე ,ტყის დღე (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით ონლაინსაინფორმაციო შეხვედრა) ,ჩატარდა კალიგრაფიის კონკურსი და ა.შ. **(იხ. ფოტო N10 , N11 , N12)**

ასე,რომ სკოლა-ლიცეუმმა ,,ცოდნამ" ღირსეულად გაართვა თავი პანდემიურ გამოწვევებსაც და შეუპოვრად აგრძელებს წინსვლას ახალი სიმაღლეებისკენ ...

საერთო ღირებულებებით, ინტერესებით სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი ამ პროცესის უშუალო მონაწილეა.

„ადამიანის ქცევა ეფუძნება სამ ძირითად წყაროს: სურვილს, ემოციებს და ცოდნას". სკოლა-ლიცეუმი ,,ცოდნა" კი ის ადგილია, სადაც მუდმივად ზრუნავენ ერთმანეთზე,ძალიან დიდ სიყვარულს,სითბოს,სიკეთეს გასცემენ ,მუდმივად სწავლობენ და ასწავლიან ...

სწორედ ესაა გზა წარმატებისკენ !!!...

ლია ბაზაძე

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

P. S. რედაქტორის მინაწერი: ჰოდა, ამ გზაზე ახალი სიმაღლეების დაპყრობას გისურვებთ, ლიცეუმელებო!

პატარების შესაფერისი გარემო

საგანმანათლებლო პროცესის წამყვანი ბავშვია

რთული პანდემიური პერიოდიდან გამომდინარე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისთვის სპეციალური რეგულაციები შემუშავდა. ასეთ სიტუაციაში ძნელია სრულფასოვანი სააღმზრდელო პროცესის წარმართვა, თუმცა მერიისა და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელშეწყობით გარემო შესაბამისად მოეწყო.

თბილისის **216-ე** საბავშვო ბაგა-ბაღში (დირექტორი **ანუკი კიწმარიშვილი**) წელს სასწავლო პროცესი 15 იანვარს განახლდა. ბაღში ფუნქციონირებს 18 სააღმზრდელო ჯგუფი: ბაგის (2-3 წლიანთა) 4 ჯგუფი, უფროსი ბაგა (3-4 წლიანები) – 4, 4-5 წლიანთა – 5 და სასკოლო მზაობის (5-6 წლიანები) – 5, სადაც დანერგილია ადრეული და სკოლამდელი აღზრდის სახელმწიფო პროგრამა. პანდემიის რეგულაციების დაცვისთვის, პერსონალი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. ბავშვებს აქვთ ინდივიდუალური მოხმარების საკანცელარიო თუ სამუშაო მასალა. შეიძინეს ეზოს ინვენტარი, რომელიც პატარებს ფიზიკური აქტივობების, კერძოდ მსხვილი მოტორიკის განვითარებაში დაეხმარება. ყველა ჯგუფი გადახალისდა საჭირო ნივთებით, სათამაშოებით. სასკოლო მზაობის ჯგუფებში ყოველდღიურად ტარდება პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები. აქ მუშაობენ გამოცდილი აღმზრდელები, რომელთა გადამზადებაზეც ბაღების მართვის სააგენტო ზრუნავს.

ჯერ კიდევ არდასრულებული პანდემიის პირობებში, განსაკუთრებით დასაფასებელია ტექნიკური პერსონალის შრომა. ბაღში არის სამჯერადი კვება, კომბინირებული ცხიმებით, ცილებითა და ნახშირწყლებით. დღის

12 საათზე პატარებს აქვთ ხილი. ყველგან სისუფთავე და დაცული რეგულაციებია, რაზეც ზრუნავენ სანიტარულ-ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორები: **რუსუდან ჩხატარაშვილი, ირინე გათენაშვილი, მარეხი გოცაძე.**

ბაგა-ბაღში უსაფრთხო და მოწესრიგებულ გარემოს ქმნის გამოცდილი მულტიდისციპლინარული გუნდი: საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორები – **მაია კიწმარიშვილი, ელისო ბუკია**; ფსიქოლოგები – **მარიკო ჩინჩალაძე და იზა ლაბაძე**; ლოგოპედები – **ქეთევან კალაურიძე, მირანდა ოთარაშვილი**; სპეც. პედაგოგები – **ნანა თოლორდავა, სოფიო სილაგაძე.** თამაშით სწავლების მეთოდიკის საშუალებით, წარმატებით ხორციელდება სასკოლო მზაობის პროგრამა. ეს მეთოდიკა ხელს უწყობს აღსაზრდელის მრავალმხრივ და სრულფასოვან განვითარებას, მოტორული, ემოციური, სოციალური, მეტყველებითი და შემეცნებითი უნარების განვითარებას. პროგრამა ეხმარება თითოეულ მათგანს მაქსიმალურად განავითაროს თავისი პოტენციალი და ჩამოუყალიბდეს საჭირო უნარ-ჩვევები.

ყველა ასაკობრივ ჯგუფში, რეგულაციების დაცვით, ტარდება აქტივობები, მუსიკისა და ცეკვის მეცადინეობები. გაზაფხულის ლამაზი დღეები და დედის დღე პატარებმა საკუთარი ხელით შექმნილი სუვენირებით მიულოცეს

დედიკოებს. სულ მალე კი ასაკის შესაბამისი აქტივობები ეზოში გადაინაცვლებს.

საგანმანათლებლო პროცესის წამყვანი ბავშვია. ფიზიკური გარემო მისთვის საინტერესოდ უნდა იყოს მოწყობილი. კოლექტივის თითოეულ წევრს ეს კარგად აქვს გაცნობიერებული და საკუთარი წვლილი შეაქვს ამ საქმეში.

ანუკი კიწმარიშვილი: მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მთელი კოლექტივის სახელით, მადლობა გადავუხადო თბილისის მერს **კახა კალაძეს** და მის გუნდს, ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელს **კახაბერ გვანცელაძეს** და მის გუნდს, რომლებიც დღედაღამ ფიქრობენ საბავშვო ბაღების აღსაზრდელებზე, თანამშრომლებსა და მომავალი თაობის ჯანსაღ აღზრდასა და განათლებაზე. მადლობა მხარში დგომისა და გაწეული შრომისათვის.

იმედია, სასწავლო წელი მხიარული აქტივობებითა და საინტერესო ღონისძიებებით თავისუფალ და უსაფრთხო გარემოში დასრულდება.

ნათია გურგენიძე

მე-14 სკოლაში

თავდადება, სიყვარული, გამარჯვება - მათი მეგზური

ამ სკოლას ძალიან ახლოს ვიცნობ, რადგანაც 100 წელს მიახლოებულ მასწავლებელთა გაზეთ „სახალხო განათლება+"-თან შემოქმედებითად თანამშრომლობენ. უფრო კარგად ვიცნობ ახალგაზრდა, გამოცდილ, სიახლეების მაძიებელ დირექტორ **მაკა გიორგაძეს**. ასევე მის ენერგიულ, გამობრძმედილ მოადგილე **მაია ლომიძეს.** ძალიან მახარებს ის ფაქტიც, რომ ისინი ძლიერ, შრომისმოყვარე პედკოლექტივთან ერთად აქტიურად, ნაყოფიერად თანამშრომლობენ გაზეთთან. სამ ფრონტზე უწევთ ბრძოლა: პანდემიასთან, ჰიბრიდულ სწავლებასთან და ბოლოს ამას დაემატა რუსეთ-უკრაინის სასტიკი ომი.

თუ როგორ უმკლავდებიან ყოველივეს, ქვემოთ გავიგებთ სკოლიდან მოწოდებული ინფორმაციით. მაშ ასე, „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის".

* * *

„სწავლა დავიწყეთ მშვიდობიან, წყნარ გარემოცვაში რეგულაციების დაცვით. სკოლა მუშაობს ორ ცვლაში.

წამყვანი მასწავლებელი გვყავს - 6, უფროსი მასწავლებელი - 43. სკოლაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა: ქართული ენა და ლიტერატურის - **ლ. გლოველი**, საზოგადოებრივი მეცნიერებების - **ნ. მაისურაძე,** საბუნებისმეტყველო მეცნიერებების - **მ. აფხაზავა,** მათემატიკის - **თ. წიქორიძე**, უცხოური ენების - **ლ. ხუციშვილი**, ესთეტიკური აღზრდის - **ნ. ხუჯაძე**, დაწყებითი კლასების - **რ. ჭეჟია.**

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მე-2 ტურში გადავიდა 16 მოსწავლე სხვადასხვა საგნებში, ხოლო ფრანგული ენის მე-3 ტურში მოსწავლე - ნიკოლოზ თევზაძე.

მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო-შემოქმედებით პროცესში.

მიუხედავად, იმისა რომ პედაგოგების მთელი კოლექტივი თავდაუზოგავად, პროფესიონალურად ანხორციელებს დისტანციურ სასწავლო პროცესს, მოუთმენლად ელის მთელი სასკოლო საზოგადოება სისხლსავსე, ჩვეული სასწავლო რეჟიმის დაბრუნებას. იმედს ვიტოვებთ, ამის საშუალება მალე გვექნება და უფრო მეტ წარმატებასა და გამარჯვებას ერთად ვიზეიმებთ.

ახლა ზოგიერთ აქტივობაზე:

თბილისის N14 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა დედებს 3 მარტი ფრანგულ ენაზე მიულოცეს

სკოლის პედაგოგიური საზოგადოება ყოველთვის დგას საფუძვლიანი განათლების სადარაჯოზე. მასწავლებლები გამუდმებით ზრუნავენ უსაყვარლესი ბავშვების განვითარებაზე, უღრმავებენ ცოდნას და ყველაფერს აკეთებენ, რათა ბავშვები სხვადასხვა აქტივობაშიც იყვნენ ჩართულები.

განსაკუთრებული იყო დედის დღე - 3 მარტი. ამ დღეს სკოლაში განუზომელი სითბო და სიყვარული იღვრებოდა. ჩვენ კი შეგახსენებთ, დედის დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად აღნიშნავენ. ასევე განსხვავებულია მისი დაწესების ისტორია.

საქართველოში დედის დღე 3 მარტია. ის ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა **ზვიად გამსახურდიამ** დააწესა. დედის დღეს საქართველოში ქალთა საერთაშორისო დღე — 8 მარტი უნდა ჩაენაცვლებინა, თუმცა ის ცალკე მაინც აღინიშნება. 3 მარტი ოფიციალურად უქმე დღეა.

დღესასწაულს ქვეყანა სხვადასხვა ღონისძიებით ხვდება. ტრადიციულად შვილები დედებს ყვავილებს, ღია ბარათებს ან სიმბოლურ საჩუქრებს ჩუქნიან.

მოსწავლეებმა დედის დღის მისალოცი ვიდეორგოლები ინგლისურ ენაზე ჩაწერეს

სამოქალაქო განათლების კლუბ **„მომავლის სხივი"** წევრებმა, მე-12 კლასის მოსწავლეებმა **მ. ქავთარაძემ** და **მ. ივანიძემ** იმუშავეს ონლაინ პროექტზე **„ყალბი ახალი ამბები"** სტუმრად იმყოფებოდნენ ტელეკომპანია **„იმედში".** პედაგოგი. **ნ. ალუღიშვილი**

რუსული ენის ღონისძიება მე-6 კლასში პედაგოგმა ლ. ხუციშვილმა აღმავლობით, საინტერესოდ ჩაატარა.

ამ მშრალი სტატისტიკის უკან დგას პედაგოგთა და დირექციის დაუღალავი შრომა.

კიდევ ბევრი შემეცნებითი ღონისძიება ჩატარდა სკოლაში, მაგრამ ესეც საკმარისია. გავისიგრძეგანოთ სკოლის ყველა მუშაკის დაუღალავი ღვაწლი.

ამ ძნელბედობის ჟამს მხნეობასა, „ჭირსა შიგან გამაგრებასა" და გამარჯვებას გისურვებთ მე-14 სკოლელებო!



ბორის მიშველაძე,
დამსახურებული პედაგოგი

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ+

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ - ᲒᲖᲐᲓ ᲓᲐ ᲮᲘᲓᲐᲓ



თანამედროვე ქართულ-ებრაული საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებისათვის დაუღალავად მებრძოლი და მათი ორგანიზატორი, **აბრაამ პაატა იოსებაშვილი** დაიბადა ქალაქ ცხინვალში, შემდგომ ცხოვრობდა ქუთაისში; სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე. სამხედრო სავალდებულო სამსახური სრულად მოიხადა. ჰყავს მეუღლე, ოთხი შვილი – ორი ვაჟი და ორი ქალიშვილი, ოთხივე ჯარმოვლილი, ერთი ვაჟი ოფიცერ-მაიორი ისრაელის ომის გმირია! ბატონი პაატა ქალაქ ხაიფის მთავარ არქიტექტორად მუშაობდა, რამაც განაპირობა ქალაქ ხაიფის შენება და განვითარება. ამჟამად აქვს საკუთარი საპროექტო ოფისი, პარალელურად ეწევა საზოგადო მოღვაწეობას, ემსახურება ორი მოძმე ერის 26 საუკუნოვანი უნიკალური მეგობრობის გაღრმავებას. 15 წელიწადია ეწევა ცოცხალ უანგარო დიპლომატიას საქართველოს ქალაქებში, სამთავრობო ორგანოებში, ოფიციალურ ეკონომიკურ, კულტურულ, საგანმანათლებლო, სამშენებლო და კომერციულ სტრუქტურებში. ქართულ-ებრაულ ურთიერთობებში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის საქართველოს პრეზიდენტმა **გიორგი მარგველაშვილმა** 2018 წელს, გამონაკლისის წესით, საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქეობა მიანიჭა! ბატონი **პატა იოსებაშვილი** გახლავთ მეცენატი, საზოგადო მოღვაწე, პროფესორი, 5 მომქმედი აკადემიის სრულუფლებიანი წევრი და დიპლომირებული აკადემიკოსი, საქველმოქმედო საქმიანობისთვის და ქართულ-ებრაულ ურთიერთობებში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ბატონი პაატა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების სიგელებით, დიპლომებით, საპატიო წევრობით არის დაჯილდოვებული. ბატონი პაატა ფაზისის მეცნიერებათა აკადემიისა და ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრი, დავით აღმაშენებლის სახელობის აკადემიის პროფესორი და აკადემიის სრულუფლებიანი წევრი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, ტაო-კლარჯეთის აკადემიის – ნამდვილი (დაჯილდოვდა ამ აკადემიის ოქროს მედლით); საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „გულანის" აკადემიის – ნამდვილი, ევროპული განათლების აკადემია „ბადისის" საპატიო, აკადემია „გვირილას" საპატიო წევრია.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა ბატონი აბრაამ პაატა იოსებაშვილი დააჯილდოვა ღირსეული წოდებით – „საქართველოს კულტურის დესპანი ისრაელში", კულტურის ამაგდარის წოდებით! საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა მიანიჭა ჯილდო – მწერალთა კავშირის გამოცემული საიუბილეო წიგნი „კავშირი გულთა". ასევე მიანიჭა დიპლომი – „ღვაწლმოსილის წოდება" ორგანიზაცია „მეგობრობის მერიდიანებისა" და იგივე სახელის ჟურნალის დაფუძნებისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის. იგი საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი და საპატიო დიპლომატია. საქართველოს ხელოვანთა ოქროს ფონდი აჯილდოებს დიპლომით და ანიჭებს კულტურის ქომაგის წოდებას. იგი ფლობს რუსთაველის საზოგადოების საპატიო სიგელს; დაჯილდოებულია საქართველოს პარლამენტის სიგელით. საქართველოს პარლამენტმა მას მიანიჭა განსაკუთრებული ჯილდო „ქართული არქეოლოგიური მონეტები". ბატონი **აბრაამ პაატა იოსებაშვილი** გახლავთ დიზაინერ მეწარმეთა - **GEORGIA ISRAEL** ასოციაციის საპატიო წევრი. ხარაგაულის მერიამ ქართულ-ებრაული მეგობრობის დიდ მოამაგეს, მეცენატს, **პაატა იოსებაშვილს**, ხარაგაულისადმი გამოჩენილი მხარდაჭერისა და მეგობრობისთვის მადლიერების სიგელი გადაეცა. მას ხრაგაულის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა და ნამდვილი ოქროს მედლით, დიპლომითა და სიგელით დაჯილდოვდა. გადაეცა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მადლობის სიგელი. **პაატა იოსებაშვილი** არჩეულია ბაღდათის მუნიციპალიტეტის ისტორიულ და კულტურულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის საორგანიზაციო კომიტეტის სრულუფლებიანი წევრად, მრჩეველად და ამავე ორგანიზაციის წარმომადგენლად ისრაელში.



მრავალმხვრივი ნიჭიერებით დაჯილდოვებულს, დიდი სამეგობროს ჩამომყალიბებელს და მის თავკაც ბატონ **პაატა იოსებაშვილს** განუწყვეტლივ იწვევენ სხვადასხვა ეკონომიკურ, კულტურულ, საგანმანათლებლო და დიასპორის საკითხებზე გამართულ ფორუმებზე. იგი დიდი ქველმოქმედიცაა – მრავალ ქართველ ახალგაზრდას დაულოცა გზა. მისი ქუთაისელი ორი მეგობრის ქალიშვილები, უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტის ფრიადოსანი კურსდამთავრებულები 5 წლის წინ თელავივის უნივერსიტეტმა მიიწვია ორწლიან უფასო სადოქტორო კურსებზე. საჭირო სახსრების უქონლობოს გამო, ახალგაზრდებმა ამ მოწვევაზე უარი განაცხადეს. პაატამ და მისმა მეუღლემ მარინამ ისრაელში წაიყვანეს ისინი საცხოვრებელი ბინის, კვების, ტრანსპორტისა და ყოველდღიური საჭირო თანხებით უზრუნველყვეს და საქართველოს აღმოსავლეთ ენების, მათ შორის ივრითის, პროფესორები დაუბრუნეს, რომლებიც ქუთაისის უნივერსიტეტში ქართველი სტუდენტების ახალ თაობებს ზრდიან. ბატონმა პაატამ მამამისის საგანძურიდან ათობით ისტორიული მნიშვნელობის ძვირადღირებული, პოლონეთში 1800-იან წლებში გამოცემული ბიბლიური წიგნი, თორები, უბოძა ქართულ-ებრაულ რესტავრირებულ მუზეუმს. **პაატა იოსებაშვილის** უშუალო ხელშეწყობით 4 წლის წინ ისრაელში მოეწყო კინორეჟისორ **ნინო ყოლანდარიას** უნიკალური ფილმის **„ორი სამშობლოს"** პრეზენტაცია, რომელსაც ენით აუწერელი წარმატება ხვდა წილად. მისივე ხელშეწყობით და ინიციატივით სამი წლის წინ ისრაელში გამართა კინორეჟისორ **თენგიზ მალანიას** მიერ ნეტარხსენებულ **ჯემალ აჯიაშვილზე** გადაღებული ფილმის პრეზენტაცია; ივრითულად ითარგმნა და გამოიცა ორენოვანი წიგნი მსახიობ **იზა ვეფხვაძის** სპექტაკლის „ამ მეგობრობით შევცვლით სამყაროს", რომლის პრეზენტაცია ჩატარდა ისრაელის და საქართველოს ქალაქებში. **პაატა იოსებაშვილის** დახმარებით ძვირადღირებულ ჩარჩოებში ჩაისვა ბაღდათის მაიაკოვსკის სახელობის მუზეუმში დაცული დიდი მხატვრების **მორდეხ** და **ცისანა ჯანაშვილების** უნიკალური (შიშველი ტილოები) ნახატები. ბატონმა პაატამ 4 დღით მიიწვია ტელევიზია "იმედის" ორი ჟურნალისტი და ოპერატორი ისრაელში, რომლებმაც კინოფირზე აღბეჭდეს ქართველ ებრაელთა ცხოვრება იარაელში; ბატონმა **პაატა იოსებაშვილმა** ჩამოაყალიბა და დააარსა საერთაშორისო ორგანიზაცია „მეგობრობის მერიდიანები" და გამოსცა იგივე სახელობის ჟურნალი, რომლის პრეზენტაცია ორი თვის წინ გაიმართა მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ინიციტიავით. აღსანიშნავია, რომ უწმიდესმა და უნეტარესმა პატრიარქმა მოულოცა ორგანიზაციის და ჟურნალის დაარსება. ბატონმა პაატამ, მეგობრებთან, ბატონ **გიზო თავაძესა** და ქალბატონ **იზა ვეფხვაძესთან** ერთად, ერთგვარი ძეგლი დაუდგეს ქართულ-ებრაულ მრავალსაუკუნოვან უნიკალურ ურთიერთობას და მეგობრობას - ქუთაისში ორი მოძმე ერის მეგობრობის სახელობის ხეივანი გააშენეს, სადაც ხარობს ისრაელიდან ჩატანილი ზეთისხილის ხეები. ბატონი პაატა გახლავთ ქველმოქმედი, საქართველოს ერთგული მეგობარი და სიკეთის მთესველი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა და დღემდე შეაქვს ქართულ-ებრაულ ურთიერთობეში. ბევრი სიკეთის მკეთებელს, ქველმოქმედ **პაატა იოსებაშვილს** კიდევ ბევრი საქმე ელის; იგი მზადაა სასიკეთოდ წამოწყებული პროექტების დასასრულებლად და ახალი პროექტების განსახორციელებლად.

ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ

„ლომისელებს” მაღალი შედეგებისკენ თვალი უჭირავთ

„მადლი გფენიათ მარჯვენაზედა!”

ყოველთვის მიხარია ამ სკოლის მასწავლებლებთან შეხვდრა, რადგანა ვხედავ, ყოველი ახალი შეხვედრის დროს ახალი წარმატებებისთვის მიუღწევიათ. გარდა ამისა, დიდი ხანია „ლომისის” დირექტორი **თამარ ბარძამიშვილი**, სკოლის ადმინისტრაცია და ჩინებული პედაგოგები ერთგულად უდგანან მხარში ას წელს მიღწეულ მასწავლებელთა გაზეთ „**სახალხო განათლებას”.** შემოქმედებითად თანამშრომლობენ ჩვენთან.

თავად ჩინებული პედაგოგი და ხელმძღვანელი ამ კერძო სკოლისა დიდებული პედაგოგიური ოჯახის წევრია, მასწავლებლად დაბადებული. სამწუხაროდ, დღეს მეტად რთულ პირობებში სამ ფრონტზე უწევთ ბრძოლა. ესენია: მიკრო ვირუსის პანდემია, ჰიბრიდული სწავლება და რუსეთ-უკრაინის ომი. ყოველივე მათგანი თავისებურ ძალისხმევას მოითხოვს.

კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებით რომ ვთქვათ, ისე ებრძვიან ამ ძნელბედობას, როგორც „წიწამურზე მამალი ხოხობი გათენებამდე ვაჟკაცურად ებრძოდა ბნელ ღამეს!. ვხედავ, იმარჯვებთ. ამიტომ დაგლოცეთ სათაურად გამოტანილი ვაჟას სიტყვებით: **„მადლი გფენიათ მარჯვენაზედა!”**

ისეთი ინფორმაცია მომივიდა თქვენი სკოლიდან, რომ ზედმეტად ჩავთვალე ჩემი კომენტარი.

* * *

პირველი სემესტრი საკმაოდ რთულად წარიმართა ქვეყანაში არსებული პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე. სკოლა ორ ცვლაში მუშაობს და ძირითადად ჰიბრიდულ მოდელზეა, რაც საკმაოდ დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. სემესტრის მანძილზე თითქმის ყველა კლასს მოუწია რიგ-რიგობით სრულ დისტანციურ მოდელზე გადასვლა, კლასებში კოვიდინფექციის დაფიქსირებიდან გამომდინარე. ნოემბრის ბოლოს და დეკემბრის დასაწყისში კი სკოლაში ინფიცირების მაღალი მაჩვენებლიდან გამომდინარე--მთელი სკოლა ორი კვირით გადავიდა სწავლების სრულ ონლაინ რეჟიმზე. მიუხედავად ამ გამოწვევებისა, სკოლაში შენარჩუნდა სწავლების მაღალი ხარისხი. ჩატარდა უამრავი აქტივობა, როგორც ონლაინ, ასევე სასკოლო სივრცეში. მოსწავლეთა მოტივაციის დონე კარგი იყო მათი სასკოლო ცხოვრებაში და კლუბურ მუშაობაში ჩართულობიდან გამომდინარე.

სკოლის მოსწავლეთა 81,1%-ს (212 მოსწავლე) აქვს მაღალი აკადემიური მოსწრება. განხორციელებულია უამრავი აქტივობა: პროექტები, პრეზენტაციები, ინტეგრირებული გაკვეთილები და. ა. შ. გაკვეთილები ტარდება მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული მეთოდებითა და პროგრამებით. შექმნილია უსაფრთხო გარემო. სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა მოტივაციის მაღალი დონე (არაფორმალური განათლების აქტიური ფაქტორით).

2021–22 სასწავლო წლის პირველ სემესტრში სკოლაში პედაგოგებმა განახორციელეს 163 აქტივობა. აქედან: ინტეგრირებული - 14, ცდა - 21, ღონისძიება - 6, პროექტი - 40, კომპლექსური - 51 ,პრეზენტაცია - 35, შემეცნებითი ვიზიტი - 7, მინი სპექტაკლი - 3.

სკოლაში ფუნქციონირებს დამატებითი საგნობრივი წრეები მათემატიკაში, ინგლისურში, ფიზიკაში, რუსულში, იმ მოსწავლეთათვის, ვისაც უჭირს შესაბამის საგნებში. დამატებითი წრეობრივი მუშაობა ძალიან ეხმარება მოსწავლეებს აკადემიური მოსწრების ამაღლებაში.



საინტერესოდ მუშაობენ კლუბები: **ისტორიკოსთა, მკითხველთა, ჟურნალისტური და ბიოლოგთა.** ჩაატარეს მრავალი აქტივობა, სადაც მოსწავლეთა მაღალი ჩართულობა დაფიქსირდა. ისტორიკოსებს ჰქონდათ საინტერესო ვებინარები და კონკურსები. მკითხველთა კლუბში მოსწავლეებმა წაიკითხეს წიგნები და განიხილეს. ჟურნალისტურმა კლუბმა ძალიან საინტერესო გადაცემების ციკლი შემოგვთავაზა. ბიოლოგთა კლუბის (რომელიც სულ სამი თვეა, რაც ჩამოყალიბდა) წევრებმა გაიარეს საინტერესო კურსი ლათინურში უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან, ასევე მოწვეული სპეციალისტები ატარებენ საინტერესო ლექციებს ბიოლოგიაში არსებულ აქტუალურ თემებზე, რაც ბიოლოგიის ახალი მასწავლებლის, **მარიამ არაბიძის** დიდი დამსახურებაა. მისი ყველა გაკვეთილი პროექტია. მოკლე ხანში ისე დააინტერესა ბავშვები ბიოლოგიით, რომ კლუბი ჩამოაყალიბეს და აქვთ დიდი სამომავლო გეგმები.

სკოლის თვითმმართველობა აქტიურად მუშაობს, რომლის თითოეული წევრი მაქსიმუმს აკეთებს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისთვის. როგორც ონლაინ ისე არაონლაინ სივრცეში ატარებენ სასკოლო საზოგადოების საჭიროებასა და ინტერესებზე ორიენტირებულ აქტივობებს: შექმნეს ჟურნალისტთა კლუბი, სადაც ყოველკვირეულად ამზადებენ და გვთავაზობენ საინტერესო სასკოლო გადაცემებს; თვითმმართველობის ჰუმანიტარულმა კომიტეტმა განახორციელა პროექტი **„წიგნების კონკურსი”,** სადაც საბაზო საფეხურის მოსწავლეებმა კლასების მიხედვით შექმნეს გუნდები, წაიკითხეს მსოფლიო კლასიკოსის ნაწარმოები და მოხდა რამდენიმე ტურად მისი განხილვა. გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვდება ფასიანი საჩუქრით.

(ორგანიზაცია **„სიქას”** დამფუძნებელი, **„ატმოსფეროს”** დირექტორი, განათლების სპეციალისტი), **თამარ კანაშვილმა** (ტრენერთა ასოციაციის დამფუძნებელი), **დათო ტურაშვილი** (მწერალი), **ოთარ ტატიშვილი** (ექიმი, მსახიობი), **თამარ ბარძიმაშვილი** (სკოლის დირექტორი, ფსიქოლოგი) და ა. შ.

მოსწავლეთა თვითმმართველობა ძალიან არის დაინტერესებული გლდანის განვითარების გეგმით და აქედან გამომდინარე სკოლაში მოიწვია გლდანის მაჟორიტარი დეპუტატი ბატონი **კონსტანტინე ზარნაძე,** რომლსაც შესთავაზეს თავიანთი იდეები და ხედვა. ბატონმა კონსტანტინემ მზაობა გამოთქვა თვითმმართველობის იმ ინიციატივაზე, რომ გლდანში დაიდგას რომელიმე მამულიშვილის ძეგლი.

თვითმმართველობა აქტიურად გამოეხმაურა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებსაც, შეაგროვეს ჰუმანიტარული ტვირთი გაჭირვებაში მყოფი თანამოძმეების დასახმარებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის თვითმმართველობის ასეთი აქტიურობა დიდწილად განპირობებულია სკოლის თვითმმართველობის პრეზიდენტის, **თეიმურაზ ხოჯაშვილის** მრავალმხრივი მუშაობით, რომელიც ასევე არჩეულია ახალგაზრდა ევროპელ ელჩად საქართველოდან.

რედაქტორის მინაწერი: გილოცავთ ამ წარმატებებს, გისურვებთ, ყველა ავბედითი პრობლემა ისე დაგემარცხებინოთ, როგორც წიწამურზე მებრძოლმა ხოხობმა გაიმარჯვა ბნელ ღამეზე.

ერთობლივი შემართებით

დადებითი შედეგი მიღწეულია

300 არაგველის სახელობის ქალაქ თბილისის N 75 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ **მაკზონა კვეკვესკირი** და მისი მოადგილე **ლანა ცაგარეიშვილი** უნარიანად ხელმძღვანელობენ პედკოლექტივს – 25 მასწავლებელს. მათგან 24 -– უფროსი, ხოლო 1 – წამყვანი მასწავლებელია.

სკოლამ 2021-2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრი დაიწყო, როგორც პირისპირ, ისე დისტანციური სწავლებით იმ ბავშვებისთვის, რომელთა მშობლებმაც განცხადებით მიმართეს სკოლას ან თითონ დაარეგისტრირეს ბავშვები ონლაინ სწავლებაზე. ცალცალკეა გამოყოფილი შემოსასვლელი კარი დაწყებითი და საბაზო საფეხურების მოსწავლეებისთვის. მასწავლებლები მორიგეობით ახორციელებენ თერმოსკრინინგს, აკონტროლებენ, იცავენ თუ არა აღსაზრდელები უსაფრთხოების წესებს. ექიმის კაბინეტში ხდება პედაგოგთა და სხვა თანამშრომელთა გეგმიური კოვიდტესტირება.

გენერალური დასუფთავება/სადეზინფექციო სამუშაოები ტარდება ყველა საკლასო ოთახში, სველ წერტილებსა და დერეფნებში; სასკოლო ინვეტარი კი მუშავდება სპეციალური ხსნარით.

მოქმედებს **სამოქალაქო განთლების კლუბი „მოზაიკა”** და ლიტერატურული კლუბი. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა ღონისძიებაში. განსაკუთრებით აქტიურია სამოქალაქო განათლების კლუბი და მისი ხელმძღვანელი **მზია მუჩაიძე**. იმართება სემინარები, საინტერესო აქტივობები და გასვლითი ღონისძიებები. სკოლა მუდმივად ზრუნავს მოსწავლეთა უნარების განვითარებაზე.

მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო პროცესში. კოვიდრეგულაციების დაცვით იმართება საკლასო ღონისძიებები, რომელთაც, ძირითადად, საკლასო აქტივობების სახე აქვთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია საახალწლო ღონისძიებები, რომლებიც მშობლების გარეშე ჩატარდა. მოირთო და გალამაზდა საკლასო ოთახები, რათა ბავშვებისთვის საახალწლო განწყობა შეექმნათ. პირველი კლასის მასწავლებელმა **ეკატერინე ნიკაჭაძემ** დიდებული მეჯლისი გამართა.

მეორე კლასში **ალდა ნაჭყებიამ** ვიქტორინა ჩაატარა. ერთმანეთს შეაჯიბრა მოსწავლეთა გუნდები, რომელთაც მასწავლებლებისგან შემდგარი ჟიური აფასებდა. მესამე კლასის პედაგოგმა **თეა ბილიხოძემ** დადგა ვაჟა-ფშაველას **„სათაგური”;** ბავშვებმა ძალიან მოინდომეს და მსახიობის ოსტატობა გამოავლინეს.

მეოთხეკლასელებმა დამრიგებლის, **თამარ მოდებაძის** ხელმძღვანელობით დადგეს **თამარ მახარაძის** პიესა **„წიგნისი”** და მაყურებელი სწავლისა და ცოდნის ჯადოსნურ სამყაროში ამოგზაურეს. ღონისძიებებში ბავშვები პირბადეებით იღებდნენ მონაწილეობას, თუმცა ამას საახალწლო განწყობისთვის არაფერი დაუკლია.

მეორე სემესტრში განხორციელდა პროექტი სახელწოდებით „ჩვენ – უკრაინისთვის!”, რომელიც სამოქალაქო განათლების კლუბის წევრმა მოსწავლეებმა განახორციელეს, სამოქალაქო განათლების მასწავლებლის **მზია მუჩაიძისა** და მუსიკის მასწავლებლის **რუსუდან გველესიანის** ორგანიზებით. ამით სოლიდარობა გამოუცხადეს უკრაინელ ხალხს ამ უმძიმეს ვითარებაში. გაჟღერდა უკრაინის ჰიმნი, მე -12 კლასის მოსწავლემ, **ლუკა დანელიამ** მოაწყო ლექცია-სემინარი აღნიშნულ თემაზე.

როცა კოლექტივი და ხელმძღვანელობა ერთად, გეგმაზომიერად და შეთანხმებულად მუშაობენ, სიძნელეების მიუხედავად, დადებითი შედეგი მიიღწევა.

მარიამ ხატიაშვილი–გურგენიძე

ადამიანი - თავის ადგილზე

როცა საქმეს პროფესიონალები აკეთებენ

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია უკვე 30 წელიწადია ემსახურება ქვეყნისთვის მაღალპროფესიონალი კადრების აღზრდის რთულსა და საპატიო საქმეს. სახელდობრ, როგორ ემსახურება? მივყვეთ და დავრწმუნდებით, რომ აკადემიის ყოველ მუშაკს გასიგრძეგანებული აქვს თავისი მისია.

სასწავლებელს 2014 წელს მიენიჭა ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და პრიორიტეტული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს. მისი რექტორი გახლავთ ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი ქალბატონი **სოფიო მაჭარაშვილი.**

აკადემია ISO 9001:2015 სერთიფიკატის მფლობელი ერთ-ერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა (2019 წ.); 2018 წელს სოციალური მომსახურების სააგენტომ წლის საუკეთესო პარტნიორის წოდება მიანიჭა; ხოლო კოლეჯების ბრენდირების ფარგლებში – 2016-2017 წლებში – 2-ჯერ დაჯილდოვდა უმაღლესი შეფასებით – 5 ვარსკვლავით; 2015 წელს ერთ-ერთმა პირველმა დაინერგა პრაქტიკოსი ექთნის მოდულური პროგრამა, რისთვისაც გადაეცა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მადლობის სიგელი.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია არის საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრი. ასევე, 2019 წლის 14 თებერვალს BTA საქართველოს პროფესიული კონსულტირების ასოციაციის პარტნიორი ორგანიზაცია გახდა, რომლიც აკადემიის რექტორი ქალბატონი **სოფიო მაჭარაშვილია.**

აკადემიაში შესაძლებელია სწავლა სრული ან ნაწილობრივი სახელმწიფო დაფინანსებით და გაიცემა სახელმწიფო დიპლომი.

პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეუძლია მიიღოს ყველამ, ვისაც საჯარო სკოლის 9 კლასის ატესტატი აქვს. ამ განათლებით სწავლა მესამე და მეოთხე დონის ინტეგრირებულ პროგრამებზეა შესაძლებელი. თუ ახალგაზრდა ინტეგრირებულ პროფესიულ პროგრამას აირჩევს, სრულ ზოგად განათლებასთან გათანაბრებულ დიპლომს (12 კლასი) მიიღებს. ვისაც სრული ზოგადი ან/და შემდგომი განათლება აქვთ, მეხუთე დონის პროფესიულ პროგრამაზე შეუძლიათ სწავლა.

პროფესიული განათლების სისტემა გახლავთ პირდაპირი გაგება გამოთქმისა - „სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე." შესაბამისად, ნებისმიერ მსურველს, ასაკისა და მდგომარეობის მიუხედავად, შეუძლია გახდეს პროფესიული განათლების სტუდენტი. გარდა ამისა, ახალგაზრდებს შესაძლებლობა ეძლევათ, ერთდორულად უმაღლესისა და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები იყვნენ ისე, რომ სწავლის პროცესი სრულად ან ნაწილობრივ დაუფინანსოს სახელმწიფომ.

პროფესიულ პროგრამაზე ჩასარიცხად მესამე და მეოთხე დონის პროგრამებზე სწავლისთვის - მოტივაციური გასაუბრებაა საჭირო. ხოლო მეხუთე დონის პროგრამაზე – გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზებული პროფესიული ტესტირება.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში მსურველები სრულიად უფასოდ ემზადებიან პროფესიული ტესტირებისთვის, სასწავლებელი ყოველმხრივ უწყობს ხელს უნარების განვითარებასა და თვითრწმენის ჩამოყალიბებაში.

პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრაცია იქნება ონლაინ პორტალზე vet.emis.ge, დაიწყება ორ მაისს და გაგრძელდება 22 აგვისტოს ჩათვლით.

ბიზნესისა და ტექონოლოგიების აკადემია ყმაწვილებს პროგრამების მრავალფეროვან არჩევანსა სთავაზობს.

მე-5 დონის პროგრამები: შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები; საექთნო განათლება; აღმზრდელი; ბუღალტრული აღრიცხვა; საბაჟო საქმე.

მე-4 დონის პროგრამები: ვებ ტექნოლოგიები; ვებტექნოლოგიები (ინტეგრირებული); საოფისე საქმე (ინტეგრირებული); საოფისე საქმე.

მე-3 დონის პროგრამები: ელექტროობა; მშენებლობის მწარმოებელი (სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა); ინფორმაციის ტექნოლოგია.

პროფესიული სტუდენტები სარგებლობენ დაზღვევის სპეციალური პროგრამით, სტუდენტური სამგზავრო ბარათებით; ვაუებს უვადდებათ სამხედრო სამსახურში გაწვევის ვადა.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში რეგისტრირებული სტუდენტების რიცხვი 2014 — 2021 წლების განმავლობაში 21-დან – 1207-მდე გაიზარდა. ამჟამად აკადემიაში 444 სტუდენტი სწავლობს მხოლოდ სადიპლომო პროგრამებზე.

ჩამოთვლილის გარდა, აკადემიას სახელმწიფოს დაფინანსებული მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამები აქვს: საოფისე, სამეურნეო მარაგებისა და საარქივო დოკუმენტაციის მართვა; ადმინისტრაციული ასისტირება; სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი; საბაჟო დეკლარირება; ნარჩენების მართვა; ტრანსპორტის უსაფრთხოება და რისკის კონტროლი; ელექტროტექნოლოგია და უსაფრთხოება; კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამები; გრაფიკული დიზაინი; სისტემური ადმინისტრირება; ქსელის ადმინისტრირება; აღმზრდელობითი პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა; გერიატრიული ასისტენტი (გაიცემა ორენოვანი სერთიფიკატი და კურსდამთავრებულებს ისრაელში დასაქმების უფლება აქვთ).

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიამ სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო საგენტოს საჭიროებისათვის ორი მიმართულებით სატრეინინგო მომსახურების უფლება მოიპოვა. ამასაც სახელმწიფო აფინანსებს: პერსონალური და სოციალური კომპეტენცია; მულტილინგვურობის კომპეტნეცია.

აკადემიამ მოიპოვა შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული სასერტიფიკატო პროგრამის განხორციელების უფლების თბილისსა და ბათუმში. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ამ პროგრამის განხორციელების უფლების მოსაპოვებლად ქუთაისსა და ჭიათურაში. აკადემიის ინიციატივით, გამოიცა შრომის უსაფრთხოების დარგის განმავითარებელი სახელმძღვანელოები.

აკადემიაში მსურველებს შეუძლიათ არაფორმალური განათლების აღიარების პროცესის წარმოება. არაფორმალური განათლების აღიარების უფლება სასწავლებელს 2021 წელს მიენიჭა

კარიერული ზრდის მხარდაჭერის, კურსდამთავრებულთა და მოსარგებლეთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში პერმანენტულად იმართება დასაქმების ფორუმები, იწვევენ კერძო კომპანიებსა და საჯარო სტრუქტურების წარმომადგენლებს.

აკადემია კორპორაციულად წარმატებით თანამშრომლობს ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციასთან; საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატასთან; ენერგო-პრო ჯორჯიასთან; აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან; ქალები - მომავლისთვისთან; სკკა კერძო კოლეჯების ასოციაციათან.

სწავლების ხარისხისა და აკადემია დასაქმების შესაძლებლობების გაზრდისა და სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, აქტიურად იძიებს ბაზარზე ყველაზე მოთხოვნად და წარმატებულ კომპანიებს, რომლებთანაც აფორმებს ხელშეკრულებებს.

ჯამში, აკადემიას ჰყავს 300-მდე კურსდამთავრებული და მათი დასაქმების სტატისტიკა ასეთია:

საექთნო განათლება – 100%; შრომის უსაფრთხოებისა და გარმოსდაცვითი ტექნოლოგიები – 100%; აღმზრდელი – 100%; ელექტროობა – 100%; მშენებლობის მწარმოებელი – 100%; ინფორმაციის ტექნოლოგია – 90%; ვებტექნოლოგიები – 90%; საბაჟო საქმე – 80%; საოფისე საქმე – 80%.

აკადემიაში სტუდენტური ცხოვრება ღირებული, საინტერესო და მხიარულია. დაუვიწყარი სტუდენტობა აქვთ მათ, ვისაც უნდა სწავლაც, სპორტიც, გართობაც, კრეატივიც და, რა თქმა უნდა, თავგადასავალიც.

აქტიურად მოქმედებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების განხორციელებასა და ღონისძიებების ორგანიზებას მრავალფეროვანი, საინტერესო და დაუვიწყარი სტუდენტური ცხოვრების უზრუნველსაყოფად. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გაერთიანდნენ საერთო ინტერესების მიხედვით და სათანადო თემებზე იმუშაონ, დაგეგმონ ღონისძიებები. ისინი ადგენენ პროექტებს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ქ-ნ **სოფიო მაჭარაშვილის** მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

ასეთი სისტემა სტუდენტებს პროფესიული უნარების განვითარების საშუალებას აძლევს, ასწავლის პასუხისმგებლობით მოეკიდონ პროექტების ჩამოყალიბებისა და განხორციელების პროცესს, საჭირო რესუსების მართვას და ა.შ.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში მოქმედებს სტუდენტების შიდა სტაჟირებები, მასში წარჩინებული სტუდენტები არიან ჩართულნი და მათი დახმარებითა და ინიციატივით, სტუდენტურ თვითმმართველობასთან ერთად, იმართება მსჯელობები გლობალურ თემებზე, რათა გაიღრმავონ ცოდნა და, რაც მთავარია, დაამკვიდრონ სწორი ღირებულებები და ჩამოყალიბდნენ განათლებულ, პროგრესულ და ქმედითუნარიან პიროვნებებად.

შეჯამების სახით დავძენთ, რომ აკადემია გამოირჩევა:

30-წლიანი საგანმანათლებლო გამოცდილებითა და პროფესიონალი და კეთილგანწყობილი პერსონალით;

სახელმწიფოს მიერ და დაფინანსებული პროგრამებითა და საინტერესო სტუდენტური ცხოვრებით;

საწარმოო პრაქტიკები მიმდინარეობს წარმატებულ კომპანიებში და დიდია დასაქმების შესაძლებლობა;

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას ორი მისამართი აქვს თბილისში: ც. დადიანის ქ. 28 და წერონისის ქ. 208. საჩხერეში კი - გომართელის ქ. 10

სასწავლებელი აღჭურვილია უახლესი ტექნიკითა და ინფრასტრუქტურით;

დაათვალიერეთ აკადემიის პროგრამები და გარემო ვებგვერდზე: bta.edu.ge

დარეკეთ: 593 30 32 11;
574 00 80 80:

გვჯერა, მრავალი ახალგაზრდა დაინტერესდება ესოდენ პრესტიჟული და წარმატებული კოლეჯით და ისურვებს იქ სწავლას, რაც წელმაგრად და თამამად გაიყვანს ცხოვრების დიდ გზაზე.

კონსტანტინე გურგენიძე

მე-8 ბაგა-ბაღი მოწინავეა

პატარებს მზრუნველობას არ აკლებენ

ჩვენი გაზეთის მკითხველს არაერთხელ გავაცანით, თბილისის მე-8 ბაგა-ბაღის წარმატებული საქმიანობა. ამჯერადაც, დიდი სიამოვნებით მოგითხრობთ აღნიშნული საბავშვო დაწესებულების მიღწევებზე. თითოეულ აღსაზრდელს დიდი სიფაქიზით ეპყრობიან, შესაბამისი მეთოდური მიდგომით ასწავლიან საჭირო უნარ-ჩვევებს და შემოქმედებასაც აზიარებენ. ბაგა-ბაღში სანიტარულ-ჰიგიენური წესები ზედმიწევნით დაცულია და ამ მხრივაც მშობლები მშვიდად არიან.

საბავშვო ბაღს უკვე მრავალი წელია, 2007 წლიდან, შესანიშნავად ხელმძღვანელობს **ჟუჟუნა (ფისო) სარსევანიძე-ჩაჩიბაია,** რომელმაც არაერთი პროექტი განახორციელა და დანერგა საინტერესო სიახლეები. ბაღში გაიზარდა აღსაზრდელთა რაოდენობა. ამჟამად, 7 სააღმზრედელო ჯგუფი, 208 აღსაზრედელი და 47 თანამშრომელია. შენობის ინფრასტრუქტურა აბსოლუტურად მოწესრიგებული და განახლებულია. ბაგა-ბაღების სააგენტოს და მისი ხელმძღვანელის **კახაბერ გვანცელაძის** მხარში დგომით კი, ბაღი კიდევ უფრო გალამაზდა. შენობა საკმაოდ ძველია, 1938 წელს არის აშენებული, მაგრამ მყარია და პატარებისთვის შესაბამისი გარემოა შექმნილი. დირექტორის მონდომებით და სააგენტოს მხარში დგომით, დიდი სარემონტო სამუშაოები განხორციელდა - შეკეთდა სახურავი, შეიძინეს თანამედროვე საჭირო სათამაშოები და სპორტული ინვენტარი; ეზოს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია, შეცვლილია ღობეც და ჭიშკარიც. ბაღი უსაფრთხოა პატარებისთვის, დამონტაჟებულია ხანძრის დეტექტორი და უსაფრთხოების ბადეები. კვებას დიდი ყურადღება ექცევა და სამზარეულოც თანამედროვე ტექნიკით არის აღჭურვილი.

მე-8 ბაგა-ბაღი ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალკვალიფიციური კადრებით, რაც თვალშისაცემია. აქ სულ 47 თანამშრომელია. საგულისხმოა, რომ დირექტორთან ერთად ბაღის მთელი გუნდი ზრუნავს აღსაზრდელების კეთილდღეობასა და მათთვის კომფორტული გარემოს შექმნაზე. აქ ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ აღმზრდელობითი პროცესი სათანადოდ წარიმართოს. წარმატებით ხორციელდება ,,სასკოლო მზაობის'' პროგრამა და ბავშვები

შესანიშნავად არიან მომზადებულები. მათ უტარდებათ ყველა ის აქტივობა, რაც სახელმწიფო პროგრამით არის გათვალისწინებული.

მე-8 ბაგა-ბაღის თანამშრომლები ერთ გუნდად არიან შეკრულნი და ერთობლივად მართლაც, უდიდეს საქმეს აკეთებენ. ისინი დღედაღამ ზრუნავენ მომავალი თაობის აღზრდასა და განვითარებაზე. ბაღის დირექტორი და მთელი კოლექტივი, თავდაუზოგავად იღვწის იმისთვის, რომ ეს საბავშვო დაწესებულება პატარებისთვის იყოს სასურველი და მიმზიდველი. ბაღი დიდი პოპულარობით სარგებლობს და მშობლებიც კმაყოფილნი არიან.

ერთი სიტყვით, აქ ყველაფერი წესრიგშია, პატარებს მზრუნველობას და ყურადღებას არ აკლებენ, ტარდება ასაკის შესაბამისი შემოქმედებითი და სპორტული აქტივობები. ასე რომ, აქ გატარებული წლები მთელი ცხოვრება ემახსოვრებათ.

მზია გოგოძე

ბაღში ზეიმისთვის ემზადებიან

საიუბილეო თარიღს ხელდამშვენებულები ხვდებიან

თბილისის 170-ე ბაგა-ბაღი ტრადიციული საბავშვო დაწესებულებაა და არსებობის დიდი ისტორია აქვს. წლების წინ, ვერაზე, აკაკი შანიძის ქუჩის 28 ნომერში ცხოვრობდა ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი **ვასილ მჟავანაძე**, რომელსაც საკუთარი სურვილით, ბავშვებისთვის საჩუქრად გადაუცია თავისი სახლი... მას შემდეგ, ბაღი თანდათანობით გაფართოვდა და დამშვენდა, თუმცა, ადრინდელი იერსახე მაინც შენარჩუნებულია. ეს არის ბაღი - მშვენიერი ხედებით, მარადმწვანე წიწვოვანი ხეებით, მრავალფეროვანი მცენარეებით და კოლორიტული შენობით. ბაგა-ბაღის ფოიეს და ოთახებს ამშვენებს ყვავილები, სათამაშოები, პლაკატები, ბავშვების და პედაგოგების შემოქმედება — ნახატები, გამოძერწილი ზღაპრის გმირები და აპლიკაციები. ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია. კეთილმოწყობილია სველი წერტილები, ოთახები და სამზარეულო, დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა. ბაღი აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით, სათამაშოებით და სახელმძღვანელოებით.

წლეულს, 170-ე ბაგა-ბაღს დაარსებიდან 50 წელი უსრულდება. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, დირექტორი **ქეთევან დვალიშვილი** გრანდიოზულ ღონისძიებას გეგმავს, რომელიც ოქტომბერში გაიმართება.

ქეთევან დვალიშვილი: საიუბილეო თარიღისთვის საგანგებოდ ვემზადებით, სადაც მოვიწვევთ ბაღის ყველა კურსდამთავრებულს, ზოგიერთი მათგანი ჩვენის საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები არიან. ჩვენთან მუშაობენ უფროსი ასაკის პედაგოგებიც და გვინდა, რომ კომუნიკაცია შედგეს ყოფილ მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. ასევე, ვაპირებთ პავლე მჟავანაძის ქალიშვილის ნინას მოწვევასაც. უკვე თერთმეტი წელიწადია, ამ ისტორიულ ბაღს ვხელმძღვანელობ, შენობა ძველია, მაგრამ ძალიან ძვირფასია. ვცდილობთ ყველაფერს გავუფრთხილდეთ, შენობას პირვანდელი სახე შევუნარჩუნოთ და ამით პატივი მივაგოთ ისტორიულ პიროვნებას და წარსულს. სამწუხაროდ, ბაღს გამოაკლდა ღვაწლმოსილი პედაგოგი **ნელი კეპულაძე**, რომელიც 52 წელიწადი დაუღალავად ემსახურებოდა მომავალი თაობის აღზრდას. ბაღისთვის მთავარი პრიორიტეტია: ჯანსაღი ატმოსფერო შევუქმნათ როგორც ბავშვებს, ასევე აღმზრდელებს, მშობლებს და ერთმანეთს. გვყავს ძალიან კარგი, მეგობრული კოლექტივი, რომელიც დაკომპლექტებულია როგორც ღვაწლმოსილი, ასევე ახალგაზრდა, პროფესიონალი კადრებით. ვცდილობ, თანამშრომლებსა და აღსაზრდელებს მაქსიმალურად კომფორტული გარემო შევუქმნა, რათა ბაღში მოსვლა უხაროდეთ. წარმატებით ხორციელდება ,,სასკოლო მზაობის პროგრამა'', რომელიც პატარებს ეხმარება მოსწავლის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. ბაღი თანამშრომლობს სხვადასხვა ავტორთან და მწერლთან. მაგალითად, **მანანა ტონიამ** სპეციალური პროგრამის მიხედვით , დაწერა ჩვენი აღსაზრდელებისთვის წიგნი, სადაც პატარები სწავლობენ ეცნობიან ბუნებასთან ურთიერთობას.

ბაგა-ბაღში, სულ 375 აღსაზრდელია. ყველა ჯგუფს თავისი სახელწოდება აქვს, მაგალითად, **„პეპელა'', „მზე'', „გვირილა'', „ბაჭია'', „მერცხლები'', „წითელქუდა''** და ა.შ. სპეციალური პედაგოგი **მაია აფხაზიშვილი** და ლოგოპედი **ნატალია კალანდარია** შესანიშნავად მუშაობენ ინკლუზიური პროგრამით და კარგ შედეგებსაც აღწევენ. საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **თამარ ლომინაძე** ახალი კადრია ბაღისთვის , მაგრამ შესანიშნავად უძღვება დაკისრებულ მოვალეობას, არის ქცევითი თერაპევტი და **ილიაუნის** უნივერსიტეტის ბავშვთა განვითარების ინსტიტურის თანამშრომელი.



აქ ხშირად ტარდება შემოქმედებითი ღონისძიებები, სეზონური ზეიმები და ღია გაკვეთილები. ახლახანს, ,,დედამიწის დღისადმი" მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. პატარებმა მონაწილეობა მიიღეს გამწვანების პროცესში და დარგეს ყვავილები. ბაღში, პედაგოგებისთვის ტარდება სამეცნიერო კონფერენციები, სადაც თანამშრომლები აქტურად მონაწილეობენ.

აღსაზრდელების კვებას დიდი ყურადღება ექცევა, ბაღი მარაგდება ჯანსაღი პროდუქტებით. მზარეული **ნატალია ბერუაშვილი** და დამხმარეები: **ლამარა ქამუშაძე** და **ნანული ლომიძე** ბავშვებს გემრიელ კერძებს უმზადებენ.

170-ე ბაგა-ბაღში მუდამ დისციპლინა, წესრიგი და სისუფთავეა. დირექტორს მხარში უდგანან: მოადგილე **მარიამ ჭიპაშვილი**, მნე **ლილი ძივძივაძე**, საქმისმწარმოებლები **ნანა მუსელიანი** და **ზურაბ გორდელაძე**, ფსიქოლოგი **ლია დვალიშვილი**, ჯანმრთელობის კოორდინატორი **ნელი რაზმაძე.**

ბაღის ზეიმების მომზადებაში ჩართულები არიან მუსიკის პედაგოგები: **მარიამ გუგუშვილი** და **თამარ ნახუცრიშვილი**, ასევე, ცეკვის მასწავლებელი **მზია კანდელაკი.**

ბავშვებზე ზრუნავენ მაღალკვალიფიციური აღმზრდელები: **მაყვალა შიოშვილი, ანტონინა თუმანიშვილი, მაყვალა შერაზადიშვილი, ეკატერინე ნანეიშვილი, მანანა გლოველი, დარიკო მოდებაძე, მედეა ბიბილეიშვილი, სოფიო თევზაძე, ეკატერინე აბურჯანია, თამარ ყიფშიძე, ნანა ბუკია, თეონა გაგოშვილი, თამარ ლაფერიშვილი, თამილა გოჩიტაშვილი, სოფიო მარკოზია, ნანული აბრამიშვილი, ნათია მელიქიშვილი და დარეჯან ბერიძე.** აღმზრდელებს მხარში უდგანან თანაშემწეები: **ნონა ლიპარიშვილი, ვერა აბრამიძე, ლალი ბუხრაშვილი, ნინო აბრამიშვილი, იამზე წულაია, ნონა გოგოლაძე, ლეილა გოცირიძე, ეთერ კურტანიძე, ლალი გეგეშიძე, ციალა** და **თამარ ფალავანდიშვილები, ფატი მოდებაძე, ლიანა ლაფერიშვილი, ციცინო წიკლაური** და **მაყვალა ირემაძე.**

ბაღის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ტექნიკურ პერსონალს: **გია კასაბური, ხათუნა ჯოხაძე, იამზე კაპანაძე, მარინა მითაგვარია, მაია ლომსაძე, თენგიზ ჯახველაძე** და **ჯონი გეფერიძე.**

170-ე ბაგა-ბაღის მესვეურებს ვულოცავთ 50 წლის იუბილეს და ვუსურვებთ წარმატებებს.

მზია გოგოძე

ემიგრანტის კუთხე: საქართველო - ამერიკა

ლელა ქართველი - წარმატებული ქართველი აშშ-ში



ლელა ქართველიშვილი (ქართველი), (Le La Kartveli) — ცნობილი ქართველი მხატვარი, პოლიტოლოგი და ბიოლოგი - ცხოვრობს და მოღვაწეობს ამერიკაში, ნიუ-იორკში. სხვადასხვა დროს გახლდათ პედაგოგი, არასამთავრობო ორგანიზაცია „მაგმას" დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, რომელიც ახალგაზრდა ხელოვანებს აერთიანებდა. საქართველოში ცხოვრების პერიოდში იყო არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო კულტურულ—საგანმანათლებლო პროექტის ორგანიზატორი; გახლდათ ქუთაისის სათათბიროს წევრი და კულტურის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე; ხელმძღვანელობდა ბაგრატის ტაძრის აღორძინების ფონდის კულტურის განყოფილებას; გახლდათ სამართლიანი არჩევნების დასავლეთ საქართველოს რეგიონული კოორდინატორი; აგრეთვე, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულების ხელმძღვანელი; ასევე NDI—სა და IRI–ს სერტიფიცირებული საარჩევნო ტრენერი. ამჟამად არის პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის ექსპერტთა და მკვლევართა საბჭოს წევრი.

ლელა ქართველი დამფუძნებელი და პრეზიდენტია **„ალექსანდრე ქართველის (ქართველიშვილის) საერთაშორისო საზოგადოებისა",** რომელსაც ამერიკული ცენტრი „განგატე" ლობირებდა.

მის სახელს არაერთი კულტურულ—საზოგადოებრივი ინიციატივა უკავშირდება. მათ შორის, 2013 წლიდან ყოველ 9 სექტემბერს „ალექსანდრე ქართველის (ქართველიშვილის) საერთაშორისო საზოგადოების" სახელით უძღვებოდა ყოველწლიურ „ავიაკვირეულს"; პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, **გიორგი კეკელიძესთან** ერთად, გახსნა **ალექსანდრე ქართველის** კაბინეტი და ა.შ.

ლელა ქართველი დღეს ამერიკაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. მისი შემოქმედება საინტერესო და მრავალფროვანია. ხატავს და წერს. მისი პოეზია მისტიკურ—ფილოსოფიურია. მალე იგეგმება ლექსების კრებულის გამოცემა და პრეზენტაცია. ხატავს ტუშით და კალმით. აქვს ხატვის მისეული სტილი, საკუთარი ხელწერა და შესრულების ტექნიკა, რაც სხვებისგან ძალიან განსხვავდება. მისი ნამუშევრები თემატურად საკმაოდ დატვირთულია და სხვადასხვა ჟანრს აერთიანებს — ფილოსოფია-რელიგია-ფსიქოლოგია ერთობლივად გადმოცემულია **სიურეალიზმის** განზომილებაში. ამბობენ, მისტიკურიც არისო. პირველი პერსონალური გამოფენა 1991 წელს თბილისის „თეთრ გალერეაში" მოეწყო, თუმცა, ამას გარდა, მისი არაერთი ერთობლივი გამოფენა გაიმართა თბილისსა და ქუთაისში. ორი გამოფენა ნიუ-იორკში და ახლაც პერსონალური გამოფენისთვის ემზადება.

ლელა ქართველს არაერთი მასშტაბური სამომავლო გეგმა აქვს, მათ შორის, **„ალექსანდრე ქართველის საერთაშორისო საზოგადოების"** საქმიანობის გაგრძელება როგორც საქართველოში, ისე ამერიკაში. ეს ძალიან შეუწყობს ხელს ქართულ-ამერიკული ურთიერთობების პოპულარიზაციას.

„დღეს ჩვენ ამერიკელებისთვის სათქმელი გვაქვს, რომ თუ ამერიკა მსოფლიოში პირველია თავისი შეიარაღებით, ეს ქართველების დიდი დამსახურებაა და ვაპირებთ ამ ლეგენდარული ქართველის შესახებ მოვუყვეთ, როგორც ემიგრანტ ქართველებს, ისე ამერიკელებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, რადგან ეს მათთვის დიდი სტიმულის მიმცემია. გვინდა დავგეგმოთ ყოველწლიური ღონისძიებები როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ისე სხვა დაწესებულებებში" — ამბობს ლელა ქართველი თავის ინტერვიუებში.

ლელა თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტია და მასზე ყოველთვის სიყვარულით საუბრობს: „მე მაინც იმედს ვიტოვებ, რომ საქართველოში დადგება სტაბილური პერიოდი, როდესაც ქვეყანა აღმშენებლობასა და განვითარებაზე იქნება ორიენტირებული. ემიგრაციიდან საქართველოში მოწვეული პროფესიონალი კადრი კი სამშობლოში დაბრუნების მსურველთა პოტენციალს გაზრდის".

იგი საზოგადოების აქტიური წევრია — ამჟამად ფეისპლატფორმა **„ქართულ-ამერიკული ფორუმის"** ხელმძღვანელიცაა, რომლის მიზანიც პოლიტიკურ-საზოგადოებრივი აზროვნების ამაღლებაა; არაერთი საქველმოქმედო პროექტის ორგანიზატორი და მონაწილეა.

წარმატება მას იმ რთულ გზაზე, რომელიც ხალხთა შორის მეგობრობას გულისხმობს!

თუ როდის და რატომ გადაწყვიტა პოლიტოლოგმა, მხატვარმა, ბიოლოგმა, წლების განმავლობაში საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაბმულმა ქალბატონმა ლელამ უცხოეთში წასვლა და როგორია მისი სამომავლო გეგმები, აგრეთვე, ემიგრაციასთან დაკავშირებულ ბევრ საინტერესო საკითხზე ქალბატონი ლელა ნიუ-იორკიდან გვესაუბრება.

***

ლელა ქართველიშვილი: დიახ, პროფესიით მხატვარი, პოლიტოლოგი და ბიოლოგი ვარ. როგორც შევძელი, სამივე პროფესიით ვემსახურე ჩემს ქვეყანას. რამდენიმე წელი ბიოლოგიას ვასწავლიდი სკოლაში, ამავე დროს, ქუთაისის ხელოვნების უნივერსიტეტში ჩავაბარე გრაფიკის ფაკულტეტზე.

ეს იყო ყოფილი „საბჭოთა კავშირის" ნგრევის პერიოდი და საზოგადოება ახალი გამოწვევის წინაშე იდგა. პირველი ინიციატივა, რომელიც სტუდენტებთან ერთად განვახორციელეთ, იყო ის, რომ შევქმენით პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია ახალგაზრდა ხელოვანთა გაერთიანება **„მაგმა"** და ქუთაისში თუ ვინმე ახალგაზრდა ნიჭიერი ხელოვანი იყო - მხატვარი, პოეტი, მწერალი, კომპოზიტორი თუ მსახიობი — ყველანი ვიყავით გაერთიანებულები ამ ორგანიზაციაში, რომელსაც 8 წლის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი.

90-იანი წლებია, სამოქალაქო ომის პერიოდი, და სწორედ ამ დროს ჩვენ ეს ახალგაზრდები გადავარჩინეთ ქუჩას და ომს. ისინი აქტიურად ჩავაბით სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებო და შემეცნებითი-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში. ვაწყობდით მაღალი დონის გამოფენებს, ფესტივალებს, საღამოებს და შემოქმედებით-სალონურ შეხვედრებს. დავაარსეთ შემოქმედებითი სალონი, სადაც ჩვენი წევრები იყვნენ **ოტია იოსელიანი, რეზო ჩხეიძე, ბორის თბილელი** და სხვა ცნობილი ადამიანები.

ჩვენი შემოქმედებითი სალონი წითელ ხიდთან მდებარეობდა და რიონს გადაჰყურება. აქტიურად ვიყავი ჩაბმული ქალაქის მმართველობაში, ვიყავი ქუთაისის სათათბიროს წევრი და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე. რამდენიმე წლის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი **ბაგრატის ტაძრის** აღორძინების ფონდის კულტურის განყოფილებას, ვიყავი სამართლიანი არჩევნების დასავლეთ საქართველოს რეგიონული კოორდინატორი. შემდეგ სწავლა განვაგრძე თბილისის პოლიტიკურ აკადემიაში, რომელიც წარჩინებით დავამთავრე და ჩემი მოღვაწეობა თბილისში გავაგრძელე. 8 წელი ვიმუშავე კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევით ცენტრში, ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულების ხელმძღვანელად, და ვიყავი რამდენიმე საერთაშორისო პროექტის კოორდინატორი.

ვიყავი, ასევე, **„ვარდების რევოლუციის"** აქტიური მონაწილე იმ იმედით, რომ ქვეყანაში უნდა შეგვეცვალა ძველი საბჭოთა რეჟიმის გადმონაშთი სისტემა და მუდმივად ვიყავი ჩართული სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობისა და ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში. პარალელურად, ვმონაწილეობდი სხვადასხვა სამოქალაქო ინიციატივაშიც. როდესაც **გირგვლიანის** მკვლელობის ფაქტი გახმაურდა, მეც, როგორც უფლებათა დამცველმა, ღიად დავაფიქსირე ჩემი პოზიცია 7 ნოემბერს აქციაზე და ყველამ კარგად ვიცით, როგორ საშინლად იქნა ის აქცია დარბეული.

რადგან საარჩევნო საქმის დიდი გამოცდილება მქონდა, შემდეგ გავხდი NDI-ს და IRI-ს სერტიფიცირებული საარჩევნო ტრენერი და ამ სფეროშიც რამდენიმე წელი ვიმუშავე. ამჟამად ვარ პარლამენტის დიასპორისა და კავკასიურ საკითხთა კომიტეტის ექსპერტთა და მკვლევართა საბჭოს წევრი. დღემდე საბჭოში ონლაინ რეჟიმში ვმუშაობ.

2012 წლიდან, ძირითადად, ჩემი ინიციატივის განხორციელებაზე გადავერთე — დავიწყე

ქართულ-ამერიკული პროექტის **„ალექსანდრე ქართველი და ამერიკა"** განხორციელება. ამ პროექტს ჰყავდა ბევრი მხარდამჭერი: გვერდით დაგვიდგა ამერიკული ცენტრი „განგატე" და ჩემი მეგობარი **ქეთი ხოსიტაშვილი,** პორტალ „კვირას" დამფუძნებელი. აღნიშნული პროექტის პრეზენტაციაზე, რომელსაც ესწრებოდა მაშინდელი თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ალასანია, რამაზ ბლუაშვილმა** წარადგინა თავის ტრეილერი „**Alexander Kartveli".** 2013 წელს კი მე და ცნობილმა მხატვარმა ბატონმა **დიმიტრი ერისთავმა**, რომელიც არის **ალექსანდრე ქართველის** დისშვილი და ერთადერთი მემკვიდრე, დავაფუძნეთ **„ალექსანდრე ქართველის (ქართველიშვილი) საერთაშორისო საზოგადოება".** მე ვარ მოქმედი პრეზიდენტი, ბ-ნი **დიმიტრი ერისთავი** კი — საპატიო პრეზიდენტი.

2013 წლის 9 სექტემბერს თავდაცვის სამინისტროს ეგიდით, საქართველოში პირველად ჩატარდა ავიაშოუ, რომელიც **ალექსანდრე ქართველის** დაბადების დღეს (9 სექტემბერი) მიეძღვნა. შემდეგ ალექსანდრე ქართველის საერთაშორისო საზოგადოებამ დააარსა ყოველწლიური **„ავიაკვირეული",** რომელიც რამდენიმე წელი წარმატებით ხორციელდება კვირეულის ფარგლებში, ალექსანდრე ქართველის საცხოვრებელ სახლზე გაიხსნა მემორიალური დაფა, ყოფილ საავიაციო ქარხნის ფასადზე **ალექსანდრე ქართველის** ბარელიეფი და მიმდებარე სკვერს მიენიჭა მისი სახელი. პრემიერის, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის შუამდგომლობით, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტს მიენიჭა **ალექსანდრე ქართველის სახელი**. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის, **გიორგი კეკელიძის** მხარდაჭერით, ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა ალექსანდრე ქართველის კაბინეტი. ღონისძიებას ესწრებოდნენ ამერიკის ელჩი **იან კელი,** მისი მეუღლე **ფრანჩესკა კელი,** მეცნიერებისა და განათლების მინისტრი **მიხეილ ჩხენკელი** და საზოგადოების სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლები.

მოკლედ, ბევრი პროექტი გვქონდა, მაგრამ განხორციელებისთვის სათანადო ფინანსური მხარდაჭერა — არა, ამიტომ გადავწყვიტე ამერიკაში წასვლა და ჩვენი პროექტების იმ ნაწილის განხორციელებაზე ფიქრი, რომლებიც უშუალოდ ამერიკას უკავშირდებოდა. რადგან ჩვენი ქვეყანა დღემდე ცხოვრობს ქუჩაში მიმდინარე აქციების მუდმივ რეჟიმში და არ არის განვითარებისთვის შესაბამისი სტაბილური გარემო, ამიტომ ვიფიქრე, რომ ეს პერიოდი სწორად გამომეყენებინა როგორც ჩემი მომავალისა და შემოქმედებითი განვითარებისთვის, ისე ჩვენი ორგანიზაციის სამომავლო გეგმების განხორციელებისთვის. ჩვენ აუცილებლად გავაგრძელებთ ამ კუთხით საქმიანობას და ხელს შევუწყობთ ქართულ-ამერიკული ურთიერთობების განვითარებას და გაღრმავებას.

ამერიკაში საკმაოდ გრძელვადიანი გეგმებით წამოვედი. უნდა გავხსნათ **ალექსანდრე ქართველის საერთაშორისო საზოგადოების** წარმომადგენლობა და ორგანიზაციის მიზნების შესაბამისად დავიწყოთ სხვადასხვა აქტივობების განხორციელება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია როგორც კვლევა, ისე **ალექსანდრე ქართველის** სახელის პოპულარიზაცია და სხვა ცნობილი ქართველების წარმოჩენაც. ჩასვლისთანავე შევხვდი საქართველოს გენერალურ კონსულს ნიუ-იორკში **დიანა ჟღენტს** და ერთად გავიარეთ ეს გეგმა, მაგრამ როდესაც უცხო ქვეყანაში ჩადიხარ, რეალობა სულ სხვა გხვდება. უნდა გაიარო ის ეტაპი, რასაც ყველა ემიგრანტი გადის. უნდა გადალახო ის ბარიერები, რაც უცხო საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროცესს უკავშირდება. პარალელურად გიწევს თანამედროვე ემიგრაციის, მათ შორის, ახალგაზრდა თაობის გაცნობა და ეს ბუნებრივი პროცესია. ძალიან ნიჭიერი, მოტივირებული და წარჩინებული ახალგაზრდები გვყავს ამერიკაში, ისინი დასაქმებულნი არიან სხვადასხვა სფეროში. ჩემთვის საინტერესო იყო ამერიკის შეიარაღებულ ძალებში და NASA-ში ჩართულ ახალგაზრდებთან კომუნიკაცია. ვფიქრობ, რომ ერთობლივი ძალებით აქედანაც არანაკლებ საქმეს გავაკეთებთ ჩვენი ქვეყნისთვის.

ამჟამად ვიმყოფები ნიუ -იორკში. რაც უფრო მეტ ამერიკელს ვეცნობი, ვხვდები, რატომ არის ეს ქვეყანა ძლიერი, როგორც ეკონომიკურად, ისე ადამიანური რესურსის თვალსაზრისით. რაც თვალშისაცემი იყო ჩემთვის, ეს არის ოჯახის ინსტიტუტის დიდი პატივისცემა. შრომისა და სწავლისადმი მაღალი პასუხისმგებლობით მიდგომა, კანონმორჩილება, ქვეყნისა და ადამიანების მიმართ უსაზღვრო სიყვარული. მე ვსაუბრობ რამდენიმე თაობის ამერიკელების შესახებ და მიხარია, რომ შეიძლება მათგან ბევრი რამის სწავლა. მე ამ სასურველ გარემოში დავუბრუნდი ჩემ საყვარელ საქმეს, დავიწყე ხატვა და წერა.

ბავშვობიდან ვხატავ ტუშით და კალმით. მაქვს ხატვის ჩემეული სტილი, საკუთარი ხელწერა და შესრულების საკუთარი ტექნიკა, რაც სხვებისგან ძალიან განსხვავდება. თემატურად საკმაოდ დატვირთული ნამუშევრებია, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ჟანრს, ფილოსოფია-რელიგია-ფსიქოლოგია ერთობლივად გადმოცემული არის სიურეალიზმის განზომილებაში. ამბობენ, მისტიკურიც არისო, ეს უკვე დამთვალიერებლისთვის მიმინდვია. ნიუ-იორკში მქონდა ორი გამოფენა და წელს უკვე პერსონალური გამოფენისთვის ვემზადები.

გვერდი მოამზადა

ზურაბ ქობალიამ

ირინა ხურციძე
(ირინოლა ტყეშაველი)

რამდენიმე ფრაზა ირინა ხურ-ციძის (ტყეშაველის) შესახებ:
ვანის ლიტერატურული გაერ-თიანება ,,საჩინოს" ვეტერანი წევრი 1979 წლიდან, მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ჯუმბერ ლეჟავას საერთაშორისო მრავალპროფილ-იანი აკადემიის წევრი, სამი საკუთარი პოეტური კრე-ბულის და რამდენიმე წიგნის თანაავტორი, ავტორი და შემდგენელ-რედაქტორი ტომეულების: ,,მინიატუ-რული პოეზია", ,,მინიატურული პროზა" და სატრფია-ლო ლექსები ,,რომ არ მიყვარდე".
ამჟამად ემიგრანტია საბერძნეთში.

დიდი გასეირნება...

ახლა რაღაც სხვაგვარი, არაამქვეყნიური,
დარდი შემომეჩვია, მიღრღნის სულს და სამშვინველს,
ცრემლის მელნით ნაწერი ერთ დროს ჩემი დღიური,
ახლა ამბავს მიყვება, წარსულ დროზე, საშინელს...
რბიან ისე წუთები, ვეღარც ვასწრებ თქმას რამის,
ანკი ასე უსიტყვოდ რას მიქვია გაქცევა,
როცა სხვა გზა არა გაქვს, მომსწრე ხდები ამ დრამის,
გემძიმება ტვირთი თუმც, მაინც გიწევს აწევა...
რაღას დაგეძინება, როცა იცი არ შრება
მთელი ღამის ნათევი, ცრემლით სველი ბალიში...
მერე ვნება-წამება უთვალავი წამების,
წამწამებს ეკიდება სევდა - გიშრის ვით მძივი,
წამოდგები საწოლზე დიდის ვაგლახ-წვალებით,
არ გეხსნება სიბნელე და ყურებში გიწივის,
თითქოს წაგეთვლიმება, ისევ ღია თვალებით
და საკუთარს ხედავ გვამს - სული ცამდე მაღლდება,
დედამიწას სხივები რა თანდათან აკლდება,
მერე ისე მოკლდება ღამე - ისრის გაწვდენა,
უცებ მკერდზე იტაცებ დაბუჟებულ მარჯვენას,
როცა იგრძნობ, კვლავ შეგრჩა ნატამალი სიცოცხლის,
იფიქრებ რომ წინასწარ ყველაფერი იცოდი...
როცა იცი სხვაგვარად არაფერი იქნება,
წამზომია ჩართული, ვიღას ესეირება,
ამ სოფლიდან იმ სოფლად სამახსოვროდ დაგრჩება,
სიკვდილის წინ სიზმარში დიდი გასეირნება...

****

ციბერბლატი, ისრების საიმედო ჰუნეა..
უშენობით ერთი დღეც ჩემთვის საუკუნეა,
ვეღარ იტევს დარდს გული, დუღს სისხლივით მაჭარი,
მძარცვავს როგორც ყაჩაღი - დრო ვით ჩარჩი- ვაჭარი...
ვეღარსად მიპოვნია მყუდრო თავშესაფარი,
უკვე გზაში მომისწრებს, სადაცაა ზამთარი...
ჩამორღვეულ ცის თაღზე ვკემსავ ღრუბლის ნაფლეთებს,
მოდის ვიღაც უჩუმრად, ეკლის გვირგვინს მაჩეჩებს,
არც ამას მაკმარებენ, დამიდგამენ საჩეჩელს....
აბა ამის შემყურე, ვინმე მეტყვის?! - გავჩერდე...
ახლა როგორც არასდროს, დროსთან მიწევს კამათი,
შხამიც რომ მომაწოდონ მერე ნაცვლად შარბათის,
ჩემს მიწაზე სიკვდილიც, თუკი არ მიწერია,
ეს ლექსებიც რად მიღირს, რაც კი დამიწერია...
ვგავარ სიზმრად მოარულს, - ღმერთო, ისევ შეგცოდე....
აქ, ამ სამყაროსათვის მოვლენილი შეცდომით....
თითებიც კი არ მყოფნის ვეღარ ვითვლი შეცდომებს...
შუადღის მზეც ვერ აშრობს, ცრემლით დამბალ ბალიშებს,
გადაღლილი თითები მიყინვია კლავიშებს,
სულში ვეღარ ვაოკებ უდაბნოთა ქარიშხლებს,
თუ ოდესმე დაბრუნდი, ჩემგან აღარ გაგიშვებ...

სოლიდარობა უკრაინას

მიუწვდომელი, უსასრულო ცაა უძირო,
მე კი მიწიდან უნდა ვუცქირო...

მერე უეცრად, ითავხედებს მღვრიე ღრუბელი ....
ცხოვრება რას არ მიგახვედრებს, სიტყვის უთქმელად....

სეტყვა ტყვიების, გადასერავს ცას იერიშით,
მე შენ გეტყვი და ჭკუა ხელს გიშლით...

დაგეშილებო სისხლის გემო მუდამ გწყუროდათ,
მოყოლებული ქვის ხანიდან, კირითხუროდან....

სხვის საკბილოზე მოდარაჯეთ გრაცხავთ ვირთხების,
დრო დადგება და ყველაფერი მოგეკითხებათ...

მართალთა სისხილის ყივილის ხმა სწვდება ზეცამდე,
მანამ დაფიქრდით, ვიდრე საზღვარს გადაკვეთავდეთ...
მტრის ჯარისკაცნო თქვენც დედები გელოდებიან,
მსგავსად იმათთა, ვინაც თქვენი ხელით კვდებიან...

იცოდეთ ვერც თქვენ შეაჩერებთ ტალღას მოვარდნილს,
წადით სახლებში, ნუ გახდებით პუტიმონანი....

ჯერ არ დაბადებულა...

ნაწვრდება წუთები ლოგარითმულ ფესვებად,
შეშლილია სამყარო, - არაფერი მეშლება,
,,მარტო წვრთნა რას უშველის," მწევარიც კი უჯიშო,
რაც არ უნდა ეცადო კარგად არ იგეშება...
ალბათ ისევ იავდრებს, ციდან ნისლი ეშვება,
ვარდი თუკი ივარდებს, შებმა გვიწევს ეკლებთან,
,,ახმობს ხეს შეძახილი", - დარდი დარდებს ეხლება,
არ გეგონოთ ადვილი, ყოველივეს გაძლება...
არაფერი ყოფილა სიდუხჭირის დაძლევა...
უცქერ, ლამის მამული ხელიდან რომ გეცლება
და ვერაფერს ვერ შველი, გული კი გეფერფლება...
სადავე აქვს ახსნილი ქარებს პირმეხიანებს,
სიკეთე თუ ბოროტს სძლევს, მაშინ რად იგვიანებს...
ერთად გააქვთ ხორხოცი უფხოებს და ფხიანებს,
ისიც მოღალატეა დროშას რომ აფრიალებს
და მოყვასს კი მალამოდ არ ედება იარებს...
გული კვდება, ყველაფერს შორიდან რომ ვუცქერი,
ო, რა მძიმე ყოფილა ემიგრანტის უღელი...
რაც ვთქვი, გულით გითხარით, ბევრი მაქვს კვლავ სათქმელი,
ჯერ არ დაბადებულა ჩემი დარდის დამთვლელი,
იქნებ ბოლო სიტყვაც ვთქვა, თუ ამ დღემდე გავძელი,
ჩემი თავი ჯანდაბას, ერს დაადგეს საშველი...

ეფემერულ ქარებთან

ვერ იოკებს სურვილებს აწყვეტილი ქარები,
ჭრიალებენ კარები, ტირის სახლის ლაფარო,
ამ გნიასის შემყურე, ვეღარ ვფხიზლობ, ვმთვრალდები,
მაინც ვცდილობ წამოვდგე, ფარხმალი არ დავყარო...
მეათასედ ვუსმენ ჯაზს, ზოგჯერ რეპსაც ვესტუმრე,
სამყაროზე ვიყრი ჯავრს, ვით ღარიბი მესტვირე...
ღამეს ვუთევ ფიქრის ჯარს, გულში ბოღმას ვერ ვიტევ,
რას მერჩოდი ბედო რას, ასე რატომ მამცირებ,
დღიდან დაბადებისა ცხარე ცრემლით მატირებ,
გასაღები გავიღე, შესაწირიც შევწირე,
მეფის ტიტულს არ ვითხოვ, ვიყავი და ვარ მცირე...
ლექსად ვიწვი, ულექსოდ მიცხოვრია აროდეს,
ყველა, ვინაც მიყვარდა, ბოლო წამს მიმატოვეს...
რა ვქნა რომ ვეღარ ვუძლებ ახლა ამ სიმარტოვეს...
უკვე დარდმა დამთოვა, ნეტავ დარდი მკმაროდეს....
ვფიქრობ, თუმცა ვერ ვხვდები, სევდის ბანგით
გალეშილს,
ეფემერულ ქარებთან რად მომინდა თარეში...
ისე უფერულდება ჩემი წილი სამყარო,
მე ვერ ამიტანია, სხვას ვიღას შევაყვარო...

პროტესტი

თავი მომაბეზრა ამ სამყარომ,
რა ვქნა, გასაქცევიც არ მაქვს სადმე,
როგორ ავიტანო, სამმაგ ყარს რო,
სად ეს ღვარძლი-შური ანდა სად, მე...
გული ნაწილ-ნაწილ ვანაწევრე,
მაინც ვერავის ვამყოფინე,
ჩემი ცხოვრება გადავწერე,
ზედ კი ვერავინ ვაფოფინე...
ბევრჯერ მიფიქრია სუიციდზე,
ბევრჯერ მოვკვდი თუმცა, ვარ ცოცხალი...
ახლაც, თუ გადავრჩი, სულ ვიცინებ,
სიკვდილო, რომ ვერ მომისწარი....
დანაღმულ ველზე ვიარები,
არსად გაფრთხილების არ დგას ნიში,
გადახსნილია იარები
და ზედ მაყრიან მარილს ქვიშის...
ნუ მომისაკლისებთ ცალყბაღიმილ,
არ მსურს შეცოდება ამის მსგავსი,
ფიქრი შეკრულია ცალფაღილით,
მან გასხნას, ვინც იცის მისი ფასი.....

***

სრული აპოგეაა,
უძილობის წუთების,
ვერ იმშრალებს თვალები,
შიგ გაჩენილ გიშრის ტბებს,
მილასლასებს ფიქრები,
როგორც ღვინით მთვრალები,
ხან ბოდავენ ხანაც კი
დითირამბებს იმღერენ...
მიმოდიან ლანდები,
ჩაცვენილი ფერდებით,
გამოუთქმელ ბრალდებით
ზეცას მუშტს უღერებენ...
არავის ებრალები,
ცოდვა მადლის ნასახი
ისე გაქრა, როგორაც
ბერვით, საპნის ბუშტები...
არის ერთი გნიასი
ცაზე შავი ღრუბლების,
შეჯახება და წვიმის
თქეში მოვა მიწაზე,
ცას, ვარსკვლავებს ამშვენებს
მოლაციცე ნათება
და ქალს კიდევ კამეას,
ყურზე თეთრი საყურე..
ახლა ისევ ღამეა,
ღავღავებენ სევდები,
რა ვქნა არ მემეტები,
სულო გასაწირავად,
დღე რომ იყოს იფრენდნენ
ცაზე თეთრი მტრედები...
ვეღარ ვხედავ, ვედები
ამოცვენილ ფილაქანს,
ვდგები, ისევ ვეცემი,
არ სრულდება წამება...
და საათის წუთები
დაყოფილი წამებად,
საუკუნედ იქცევა,
და კვლავ დაინამება
ცხელი ცრემლით ბალიში,
ბორკილები მამძიმებს
ჰქენით მადლი, ამიშვით, -
ვყვირი ბოლო ხმაზე თუმც,
არსად არ ჩანს საშველი...
ვფიქრობ ვინმე ვიპოვო
საფლავის ქვის გამთლელი,
რომ ზედ ამოვატვიფრო,
ბოლო ეპიტაფია...
სხვებს თუ ცოდვებს შეუნდობ,
მიპასუხე უფალო,
მეკი მხოლოდ მიყვარდა -
ისიც არ მეპატია...
ჯაზის ხმაზე რონინებს
სევდა ღამისმთევარი
და მდარაჯობს ფიქრები
ვით ერთგული მწევარი...
არაფრისგან არაფერს
როცა ხატავ ზეფირებს,
მოდის მთვარის არილი
და სულ გაგიზეპირებს,
რაც აქამდე გულს ჰქონდა
ჩუმად გადამალული -
ხილიც გემრიელია,
როცა გაქვს აკრძალული...

სიყვარულის ზღაპარი

ჩემი ყველა პწკარედი,
შენი ფიქრის სურნელით,
სულ რითმებად შევკარი,
როგორც თაიგულები...
გული იქით იჩქარის,
სადაც შენ მეგულები,
ენით აღუწერელი,
მიამიტი სრულებით...
რა ვქნა ვერსად გავექეცი,
მაგ თვალების ციმციმებს,
მერე ვეღარ ვივიწყებ,
ერთხელ რომ გამიცინებ...
ტრფობის ჰანგზე ვაჟღერებ
სულის სიმთა დაირას,
გულს იმედით ვაჯერებ,
მოდი რამენაირად...
ისევ ავყვეთ სიზმრისფერ,
ჩრდილდაფენილ ბილიკებს,
ჭორიკანა ვარსკვლავებს,
ჩვენ ორზე მოქილიკეთ
დავანახოთ ერთად ვართ,
ვერ გვაშინებს ზამთარი,
რომ არასდროს დასრულდეს
სიყვარულის ზღაპარი....

***

ცრემლი ჩემი მეგზურია,
ღიმილი კი ნიღაბი,
დღეს არავინ მეკითხება,
წარსულში ვინ ვიყავი...
კვნესის გული უიღბლობის
მოწმე, ჩემი ცხოვრების,
ბედნიერი ქალის, ქვეყნად
არავინა მომრევი,
მე კი ისევ მელოდება
ჩემი წილი მორევი,
ბარიკადებს ჰგვანან ჩემს წინ
სევდა- დარდის გორები,
არასოდეს არ ვყოფილვარ
მოტრფიალე ქონების..
სულს ვეძებდი თანაზიარს,
რაც ამ ქვეყნად ვიარე,
ღმერთო!, ჩემი ტკივილები
ვერვის გავუზიარე,
მხოლოდ შენ თუ დამიამებ,
დაწყლულებულ იარებს....

***

გამოვექეცი ღამის კოშმარებს,
ვერ ვუსაკლისე სულს მოკამარეს,
შენზე ოცნებაც ისე მომპარეს,
ფიქრებიც უხმოდ დავასამარე...
ვერ გავითენე დილა ნანატრი,
ეს თებერვალიც ხელში ჩამადნა,
კარს მომდგომია მარტი კვიმატი,
შენს საპოვნელად ვივლი კარდაკარ...
დღევანდელი დღის უკმაყოფილო,
ხვალ ისევ ერთად შევკრავთ კამარებს,
თუ გადავურჩი ქარებს ზამთრისას,
მოვალ, მეყოფა კვლავ სითამამე,
მე მერიქიფედ დავრჩები სუფრის,
ოღონდაც ამ გულს შენ უთამადე....

*****

არეულია სივრცე ქარებით,
არ იკითხება, ისე იავდრა,
ღრიჭოდ დარჩენილ სახლის კარებში,
იმედის სხივი შემოიპარა...
ქვადქცეულ გულში გალღვა ყინული,
თვალებმაც ცრემლი ვეღარ დამალა,
წამოიმართა დარდის ზვინული,
ვით მეწამული ფიქრის ამალა...
დავრჩი ბაგეზე სიტყვაგამშრალი,
არ ვიცი რად ან, ვარ ვის ამარა....
რამდენი დელგმა გადავიტანე,
ცხოვრებამ ესეც როდი მაკმარა,
ბევრი მითქვამს და დამიწერია,
რამდენი კიდევ დამრჩა უთქმელი,
ეს ერთი მაკლდა, „ჯილდოდ" მიმეღო -
ემიგრანტების მძიმე უღელი....

****

რატომ ბევრდებიან დარდები და
რატომ ბერდებიან იმედები,
სხვა რა დამრჩენია გრძნობებიდან -
დასავიწყებლად არ მემეტები...
ისევ ეშვებიან ბინდებიდან,
დრო ჰგავს ეშვებიან მონადირეს...
ხშირად ერმანეთში გვეშლებიან,
ავის და სიკეთის მკეთებელნი,
ფიქრები ჰაერში შეშდებიან,
კვლავ გესლს გვიგზავნის ბელზებელი...
ცუდი აურაა ხშირი დარდი,
მართალი, სანთლით საძებნელი...
სოფლის ჭრაქის შუქზე გავიზარდე,
მუხლებზე მედო დედაენა,
მაშინ თუ ანბანს ვისწავლიდი,
აი, ის მეგონა გადარჩენა,
ტკივილს სცოდნია შეჩვევა და
ღიმილებს კიდევ გადაჩვევა...
რაინდობს მხოლოდ სადღეგრძელო,
გაშლილ სუფრისთავში რიხით თქმული,
აბა მეტი რაღა გავაგრძელო,
ლამის მოლოდინით გასკდეს გული,
ერთხელ შუა ჩიხში მიმატოვა,
ვეღარ დავიბრუნე სიყვარული...
მას შემდეგ ისევ დარდი მხრავდა,
ვერ ვპოვე ღირსი სინანული...
გარეთ სამარტიო ქარი დაძრწის,
როგორ ვაპატიო ეს სიანცე,
დრო კვლავ სახეში სილას მაწნის,
ტირილით ქვეყანა ავიანცე,
თუ არ გინდა კვლავაც ვიავდარო,
ისე ვერ ვუწამლებ გულის დარდებს,
ან მოდი, მითხარი მიყვარხარო,
ანდა კლდის ქიმიდან გადამაგდე....

ლიტერატურული გვერდი

მაია კახიძე

ერთი კოცნაა ქალის ცხოვრება

კვირტივით ლამობს სიყვარული გამოღვიძებას
და დილის ცვარი იზმორება სისხამი ვნებით,
მაყვლის ტოტებში გახლართულა ლურჯი პეპელა,
გარეთ მზე იცდის, ამორძალი, ყვითელი თმებით.

სარკმელზე ჩუმად შემოდგება წვიმები მლაშე,
მკერდზე სისველე - სუმბულივით ნაზი წვეთები,
წელზე წყალივით გადავლილი თითები სავსე,
გულთან ჩამოსხდნენ შაქრისფერი შენი ხელები.

რა დრო გასულა!.. მაისში იყო, მგონი, ის კოცნა,
ხავერდის მთვარე ამოცურდა იმ ღამეს ქალში,
გული ცოცხლდება მაშინვე, ჩემო, მაკოცებ როცა,
გინდა წვიმაში, გინდა მზეში, გინდ კიდევ ქარში.

კვირტივით ლამობს სიყვარული გამოღვიძებას.

„ბესამე მუჩო" ძველ მოტივებზე

წუხელ ვუსმენდი „ბესამე მუჩოს,"
გულს მაინც სტკივა შენი სიშორე,
ის სავარძელი ძველ ფანჯარასთან,
სახლის სურნელიც ვერ მოვიშორე.

სუნთქვაც კი მაშინ ზღაპარი იყო,
შენი თვალების მზერა რომ ახლდა,
ვერ დავივიწყე ის კოცნა, „ბიჭო," —
გულს ისევ ისე უყვარხარ ახლაც.

საით მივყავარ ფიქრებს ჭაღარას,
თითქოს „ბესამე" მესმის შორიდან,
მთვარემ წარსული შემომაპარა,
კოცნასაც, ალბათ, ცაი მომიტანს.

თან მერამდენედ, ენკენისთვეში,
გულზე მეღვრება შენი სურნელი,
ჩამყვება ხოლმე უბეში, მზეში,
თავს არ მანებებს კოცნის სურვილი.

————————

* „ბესამე მუჩო"- მაგრად მაკოცე.

გინატრებ, როცა...

გინატრებ,
როცა გაზაფხული ამიმღვრევს სხეულს,
ცისფერ სამოთხეს გამოვახვევ ლაჟვარდის ბროლში,
გიგზავნი წერილს, სიზმარივით ზოგჯერ არეულს,
გათოშილ თითებს დაგიტოვებ სტრიქონთა თოვლში.

გინატრებ,
ვიცი, მარტოდმარტო, უფრორე ღამით,
გინატრებ, როცა ჩამიდგება გულ - მკერდში ნატ-
ვრა,
ცა სიზმარეულს გაანათებს ალუბლის მთვარით,
როგორ არ მინდა, მონატრება წაიღოს ქარმა...

მაინც
რამდენჯერ ჩამისახლდი ცხრაკარით, ჯვარით,
სალამურივით გამომიშრე მიჯნურის ყელი,
გულის თავთავებს დაეწვეთა კურცხალი ჯავრით,
მიიზლაზნება ღრუბლებში ისევ ზღაპარი ძველი.

გინატრებ,
ვიცი, სიზმარ - ცხადის პირველი ვნებით,
გინატრებ, ვიცი და გიპოვი ჩიტივით დილას,
თვალი სარკეა, სიყვარულის და ყოვლის ნებით
ჩამოგიჯდები მკერდში, აქვე, ფიქრების პირას.

გინატრებ,
როცა გაზაფხული ამიმღვრევს სხეულს,
ცისფერ სამოთხეს გამოვახვევ ლაჟვარდის ბროლში,
გიგზავნი წერილს, სიზმარივით ზოგჯერ არეულს,
გათოშილ თითებს დაგიტოვებ სტრიქონთა თოვლში.

აი, რატომ ვპოეტობ

მიყვარხარ და იცოდე, გადაგირევ აპრილებს,
ყველა კოცნა მაცალე, თან უთვალავს ვაპირებ.

არ მატირო მარტივით, შენს მაისში ვივარდებ,
ნეკნში ჩაგივარდები სიყვარულით დილამდე.

სანამ შენ მეგულები, სანამ მყავხარ ოცნებით,
ერთი მაგრად ჩაგიკრავ საარაკო კოცნებით.

ვიდრე შენი თვალები გულს ედემად ედება,
ალბათ, ეს სტრიქონები აღარ დამიბერდება.

აქვე მყავხარ ფიქრებში, ტანზე ფიქრი მაცვია,
შემომხედე, ძვირფასო, ფიქრიც რა ლამაზია.

ამდენ მონატრებაში მზე ღრუბლებსაც მოედო,
დღესაც გეტყვი იგივეს: აი, რატომ ვპოეტობ!..

მინდა, ახლა, უეცრად, გადავიქცე ნისლებად,
ხედავ ჩემი ფიქრები შენით როგორ ივსება?!

მიყვარხარ და იცოდე, გადაგირევ აპრილებს,
ყველა კოცნა მაცალე, თან უთვალავს ვაპირებ.

სიყვარულის ღმერთები

ღამე
ჩურჩულით მისდევს სტრიქონებს,
ცაი კოცნიდა მთვარეს დილამდე,
გული არაფერს აღარ მიგონებს,
მეც სიყვარული კალამს მივანდე.

მთელი
ცხოვრება შენკენ მოვდივარ,
ვინ შემაჩერებს, რომელი ერთი?..
შენ მეძახოდი სადღაც შორიდან,
ერთად ვიყავით: მე, შენ და ღმერთი.

ჩემს
გულში სუნთქვა მონატრებაა,
ჩემი თვალები სევდის სარკმელი,
თუ სიყვარული მაინც სევდაა,
ჩანს, უთვალავი დამრჩა სათქმელი.

ღამე
ჩურჩულით მისდევს სტრიქონებს...



ქეთევან ირემაშვილი-შუშტაკიშვილისა

გლოვა სასიტყვეთში

თამაზ კვაჭანტირაძეს

ახლა როგორ დაგემგზავროთ შენს ტკბილ სასიტყვეთშიაო,
ბევრი ჰყავდეს შენი მსგავსი ქართულ სიტყვას ერშიაო,
გვეფერებოდი, ზრუნავდი, ვით მამა შვილს გვიცავდიო,
დაგვიობლდა სასიტყვეთი, გაგვიფრინდი ცაშიაო!

ეხლა ჭირდება პატრონი, ქართულ სიტყვა ფრაზასაო,
ვაჰმე, დატოვე საწუთრო, დიდმა ჭირისუფალმაო,
ზარი რეკავს მწუხარების; ველარ მოგვაწვდენს ხმასაო,
თამაზ ბატონო, ეს ღვაწლი, კარგად ახსოვს შენს ხალხსაო!

იქნებ სძინავს? ტყუილია, იქნებ გვეშლება რამეო,
კაცი იყავ კაცური და დაგვფოფინებდი თავსაო,
ლამაზ სიტყვას, მსუყე ფრაზას, მარგალიტებს უფენდიო,
მეშინია, რომ არ მოკვდეს სიტყვა იმის მსგავსადაო.

ნუთუ არ მოენატრება ს ა ს ი ტ ყ ვ ე თ ი თამაზსაო??
ოცდაცამეტი დაქალი დავტირით შენს ამაგსაო,
პატრიოტი ქართულ სიტყვის, გაგვიმრავლოს უფალმაო,
ჟინჟღლავს... შეხეთ, ცაც დასტირის, იმის ნიჭს და უნარსაო.

რეკავს ზარი სასიტყვეთში... ბოლო ზარი გლოვისაო,
სიტყვებს — ფერხორციანებსა, გაგვიშავდა მზე დღესაო,
ტელე გადაცემას ვუძღვნით, საწუთროდან გასულსაო,
უფალო, შენ უპატრონე, შენ გაბარებთ მის სულსაო!

ფესვსა შენზე ხარობს ყლორტი, არა გვტოვებს ეულსაო,
ქართველებო, გზა მიეცით — სასუფეველს რჩეულსაო!
ღირსებას გვინარჩუნებდი, ამაყსა ქართველებსაო,
ყურს გვიტკბობდი!.. მოვიგონებთ ტელე-გაკვეთილებსაო.

შენი ხმა და მაგ ხმის ტემბრი, მოგვენატრება ბევრსაო,
ჩვენი ენის მოამაგევ, გვტოვებ მიდიხარ დღესაო!
ცაში ადის ვარსკვლავებთან, ვერ მივეფერეთ ჩვენაო,
ძნელი არის განშორება, ცრემლიანი ვართ ყველაო.

წლები განვლე ღირსეულად, მადლი მაგ ღვაწლს, ამაგსაო,
ჭია-ღუა რას დააკლებს, მაგ ანბანის ჯავშანსაო,
ხმით გვატკბობდი, გულს გვითბობდი, მადლობა მაგ ღულუნსაო,
ჯვარი შენი ზიდე მტკიცედ, არ ჰკადრებდი წუწუნსაო.

ჰოი, როგორ გაგიმეტოთ, შავი მიწისთვის შენაო.

მაია ჯაყელი

წუხელის ომში ვიყავი!

წუხელის, ომი მესიზმრა,
ტყვიის ზუზუნში მეძინა,
გამომაფხიზლა განგაშმა,
თავშესაფარისკენ მეძახდა.

წამოვხტი ფეხზე, გავიქეცი,
მაგრამ ფეხები მრჩებოდა,
სისხლი მასხამდა ტვინამდე,
გული საგულეს ხტებოდა.

არა, არ უნდა გავიქცე,
არ მეკადრება დამალვა,
სილაჩრე ღალატი არის,
ცოცხლად მიწაში დამარხვა.

იქვე დაჭრილი გმინავდა,
სისხლი სწვეთავდა გულიდან,
მიუალერსე გმირ ვაჟკაცს,
გადავუხვიე ჭრილობა.

წამოვდექ ფეხზე, მაგრამ წინ,
ვერღარ მივიწევ გვამებზე,
ჰეი ...უფალო ჩვილებიც,
დედასთან ერთად ჩახოცეს.

გავიქცე... ჩემ თავს ვუშველო?
ჩამესმის, ხმა ეშმაკისა,
არა! ავდექი თამამად,
გული ვაჩვენე მტრის ტყვიას.

ვერც მივხვდი ისე, დავტაცე,
ავტომატს ხელი მიწიდან,
ჯერ ისევ ცხელი ლულით და
სისხლიან სათითურითა.

ომი, ომია მომხდურნო,
ცხელ წერტილისკენ გავწიე,
და სისხლის ბოლო წვეთამდე,
მტერს საკადრისი ვანიე.

აქ, კი ინათა ფანჯრებში,
და თვალები გავახილე,
ცხადში,თუ ვერა დაგაკლეთ,
სიზმარში ხომ დაგასრულეთ?!

ზურაბ ქობალია

ასეა ოდითგან

ვინ წუხს და ვინ ლაღობს,
შენ იცი, უფალო,
შენ ჩემით, მაღალო,
სამშობლოს უგალობ.

ასეა, ოდითგან,
მუ თუკი მომინდა,
არც გავა მოდიდან
მამული, ჰო, დიდა.

არ ვიცი სხვისი მე,
ჩემი მაქ სათქმელი,
რად მინდა ფიცი მე,
მეძახის საქმენი.

ჰოი და ჰაიდა,
რა ხანიც გავიდა,
ნეტავი, რა მინდა,
გავხედო ბანიდან

სამშობლოს დიდებას,
კი ხშირად მინდება,
დილა თუ ინათებს,
საღამოს ბინდდება.

ასეა მარადჟამს,
ჯერ ვერვინ შეცვალა,
სულ ვებრძვი ფარვანას,
სხვისთვის არც მეცალა.

ასეა ოდითგან,
არც გავა მოდიდან
ვიმზერ რა ოდიდან,
მუზა თვით მოვიდა.

აზა გოგიტაური

ბედნიერი გაზაფხული

ამ ღელემ ხო ამაღელვა და
მაცნობა გაზაფხული,
მის ხმაურში იფურჩქნება
ჭერამი და თეთრი ნუში.

კვლავ ზეიმობს საქართველო
გაზაფხულის მობრძანებას,
მთებს თოვლის ფერ ფატას ახდის
და ყვავილებს ემსგავსება,

სიხარულით, სიყვარულით,
ეფერება ყვავილებს და
ამწვანებულ ფოთლებში
მისი ნაყოფიც კი მწიფდება,

ვიდრე შემოდგომა მოვა
აგვისტოში ფერს შეიცვლის,
ფერშეცვლილი სიყვარულით
ისევ მთაში აღზევდება,

შემოდგომამ, რომ ოქროსფრად
აელვაროს არემარე,
ქარვის წვეთი დაიტიოს,
ყურძნის ჭყლეტით საწნახელში,

მერე? მერე ვადღეგრძელოთ
უფალი და ანგელოზნი ,
ერთმანეთს კი ხურჯინ სავსე ,
შევეჯიბროთ სიყვარულში.

ლიტერატურულ გვერდს უძღვება
ზურაბ ქობალია

მალე გამოსაცემი წიგნიდან

ჩვენს გაზეთში აქვს „სამოსახლო შემოღობილი“

საბავშვო მწერალი **ლეილა ვადაჭკორია** პოპულარული გახდა ცეროდენებისადმი მიძღვნილი ბრწყინვალე კრებულით **„ციდან მოკრეფილი ვარსკვლავები“**. იგი გაზეთ **„სახალხო განათლებიდან“, ჟურნალ „ათინათიდან“** და **ანთოლოგიიდან“** აფრენილი პოეტია.

ამზადებს ახალ წიგნს. ნათქვამია: **„ხილი იხილე და მებაღე მერე იკითხეო“**. ჭაშნიკად, ანუ გემოს გასასინჯად გთავაზობთ იქიდან რამდენიმე ნიმუშს.

* * *

ლეილა ვადაჭკორია

დიდგორი

შენს თავზე ბრძოლის ყიჟინამ,
ელვად რომ გადაიარა,
კუდით ქვა რომ ასროლინეს,
მტერი რომ ყრიდა იარაღს.

შენი სახელი დიდგორად
უკვდავმა მეფემ აქცია,
მის შემდეგ ძვირფას სამოსად
ყაყაჩოები გაცვია.

საქართველოს კაცი

ვაზს დაუსო კაცმა ჭიგო,
ულვაშს უთვლის ღერა-ღერა,
უალერსებს, როგორც პირმშოს
და ღიღინებს ორეველას.

ყანას მარგვლის, ეზო-ბაღი
ყვავის, როგორც ედემია,
მისი შრომით, მისი გარჯით,
ეკალი არ მოდებია.

თავს არ გაწყენს ცრუ ყბედობით,
მისთვის წყნარად დაგურგულობს
და გვასწავლის, შვილნო, ჩვენო,
მამულს როგორ ვუერთგულოთ.

სამშობლოსთვის თავს გასწირავს,
მტერმა რომ არ გადათელოს,
მწყემსიც არის, მშენებელიც,
ამ კაცს უყვარს საქართველო.

გაზაფხულის მეკვლე

მარტო, მარტო, შენს ლოდინში
ზეცას ვერ მოვწყვიტე თვალი,
გაზაფხულის მეკვლე ხარ და
უნდა მოიხადო ვალი.

ეს კორდები, მინდორ-ველი
ყვავილებმა გადაფარონ,
ტყემ ფოთლები გამოისხას,
ტოროლებმა გაიხარონ.

ყველას გული ვინ მოიგო,
განა, ჩაიქნია ხელი?
შენ ისეთი ლამაზი ხარ,
მარტო, ჩითის კაბაც გშვენის.

მთვარის სიმღერა

მიგორავდა სავსე მთვარე
და განთიადს ელოდა,
თავისუფალ საქართველოს
სადიდებელს მღეროდა.

ეხვეოდნენ ვარსკვლავები
უბრწყინვალეს ფარაჯად,
იდგა მთვარე სხივნათელი
საქართველოს დარაჯად.

ომის კაცი დაისაჯოს

ბუნებაც კი შეიცვალა,
მარტში ყინავს საოცრად,
ომის შიშით ყვავილებსაც
თალხი ფერი ჩაუცვამთ.

იმიტომ რომ ჩვენს მეგობარ
ქვეყანაში ომია,
იქ რომ ბავშვები ტირიან,
აქაც ცრემლის ტბორია.

მთელი მსოფლიოს ბავშვები
ხმას მივაწვდენთ სამყაროს,
ომის კაცი დაისაჯოს,
ცრემლი რომ არ დავღვაროთ.

ახალი წიგნები



წიგნის თაროზე გაჩნდა ფრიად საინტერესო ახალი გამოცემები, რომლებმაც მალევე გაიკვლიეს გზა ფართო მკითხველის გულებამდე.

„ემიგრანტის ცრემლები” ირინა ხურციძის მესამე პოეტური კრებულია, მესამე შეხვედრაა მკითხველთან. მისი ლექსები სკოლის პერიოდიდანვე იბეჭდებოდა ლიტერატურულ პრესაში, შემდეგ კი ავტორმა უფრო თამამი განაცხადი გააკეთა კრებულის სახით. ამით დაამტკიცა, რომ პოეზია შემთხვევითი მოვლენა არ არის მის ცხოვრებაში. „არავინ იცის, რას მომიტანს ხვალ ბედისწერა, ბედის მწერალი, რაც რომ მესმის, ლექსია ჩემი. ვერ გავეყრები პოეზიას სიკვდილის მერეც, უკუნისამდე ჯაჭვშებმული მე მასთან ვრჩები” („მე ლექსით ვსუნთქავ”)

„რომ არ მიყვარდე” სატრფიალო-სამიჯნურო ლექსების კრებულია. წინამდებარე წიგნის გამოცემის იდეა მაშინ გაჩნდა, როცა ფეისბუკზე ამავე სახელწოდებით ჯგუფი შეიქმნა, სადაც სიყვარულის თემაზე დაწერილ მრავალ ფაქიზ ლექსს იხილავთ. ჯგუფისა და წიგნის სახელწოდება — **„რომ არ მიყვარდე”** — ამონარიდია პოეტ **დათო ქაქუთიას (ერნესის)** ერთ-ერთი საუკეთესო ლექსიდან **„რომ არ მიყვარდე”.** ეს არ გახლავთ მხოლოდ ერთი პოეტის ფრთიანი ფრაზა, რომელიც სატრფიალო ლექსებით გატაცებულმა მკითხველმა აიტაცა, ან ერთ ავტორს პოპულარობა მოუტანა, ცხადია, ეს არის გამოხატულება იმ უმაღლესი განცდა-გრძნობისა, რომელიც ყველა შემოქმედის სულშია და აერთანებთ მათ ამ ზეაღმატებული გრძნობის გარშემო.

„მინიატურული პოეზიის” გამოცემის იდეა სოციალურ სივრცეში განსხვავებული ფორმატის პოეზიის გვერდის შექმნამ გააჩინა. რადგან დღეს მრავალი ლიტერატურული ინტერნეტჯგუფი არსებობს, ბევრი ფიქრის შემდეგ ყურადღება მინიმებზე შეჩერდა.

ჯგუფი სახელწოდებით **„მინიპოეზია”** გასული წლის 20 მარტს დარეგისტრირდა, ერთ კვირაში უკვე 30 ავტორი დაემატა, რამაც წიგნის შედგენის სურვილი გააჩინა, ასე დაიბადა ეს წიგნი - **„მინიატურული პოეზია”** ტომი პირველი, რომელსაც მალევე მეორე ტომი მოჰყვა.

გარეკანის მხატვრები: რომ არ მიყვარდე - **მიხეილ დიაკონიძე**, მინიატურული პოეზიის - **ქალთამზე ჯინჯოლავა**, ემიგრანტი ცრემლები–- **თამილა სიმონია,.**

ოჩამჩირის ერთობა აფხაზეთის დამსახურებულ მშენებელს, ქალაქ ოჩამჩირის საპატიო მოქალაქეს, ბატონ **გივი ჩხეტიას** ულოცავს დაბადების 75-ე წლისთავს!

უსურვებს წარმატებებსა და წინსვლას პირად ცხოვრებასა და ერთიანი საქართველოს აღორძინების საქმეში!.

მედიკო ბერიანიძის მოსაგონარი

„მასწავლებელი–სინდის–ნამუსი, მხოლოდ ხალასი პატიოსნება“

ყოველთვის, როცა ყოფილი მე-15 სკოლის შენობას ჩავუვლი, დაუძლეველი სევდა მიპყრობს. როგორ არ დაგეწვება გული, როცა იმ სკოლაში, სადაც 32 წელი მიმუშავნია. შეშის ღუმელებს თავი გამოუყვიათ, კედლები გაუმურავთ და აქ შესახლებულ დევნილთა სარეცხები ფრიალებენ. ერთ დროს ხომ ამ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი ცხოვრება ძალუმად ჩქეფდა.

მეოთხედ საუკუნეზე მეტი თავდადებით მოღვაწეობდა აწ უკვე მარადისობის ბინადარი **მედიკო ბერიანიძე**, ამაგდარი მასწავლებელი ქართულისა. მეტად სამწუხაროა, რომ იმავე დღეს გარდაიცვალა მისი მეუღლე, მეცნიერებათა დოქტორი.

ბედმა დაგვჩაგრა მე და მედიკო, ორივემ საკუთარ თავზე ვიწვნიეთ სიმწარე დევნილობისა, მე – აფხაზეთიდან, მან კი – სამაჩაბლოდან. გიორგი ერისთავის მშობლიური კუთხიდან.

ამ სკოლაში შემოქმედებითად ვიღვწოდით კოლეგები: **ნორა ბერძენიშვილი, გუგული ღლონტი, თალიკო სკამკოჩაშვილი, ნაზი** და **ნუნუ დოლაბერიძეები, ცისანა ყიფიანი, ნაირა ბერიაშვილი** და სხვები. ჩვენ გვიძღვებოდნენ დიდი დირექტორები: **ამირან მათითაშვილი** და **რომან მოსეშვილი.**

ბატონი რომანი მე-11 სკოლაში გადაიყვანეს და მედიკოც თავის დირექტორს თან გაჰყვა.

აქაც გამოიჩინა თავი მედიკომ მუყაითობით, მაღალი პროფესიონალიზმით.

2005 წელს ბატონმა რომანმა სკოლის 70 წლის იუბილეს მიუძღვნა წიგნი: **„დედაქალაქის მეთერთმეტე – გუშინ, დღეს... რა იქნება ხვალ?“** წიგნში **მედიკო ბერიანიძის** ღვაწლ-ამაგი ჯეროვნად არის წარმოჩენილი.

ჩვენ, მის კოლეგებს, მედიკო მუდამ გვახსოვს დინჯი, მეგობრული, იუმორიანი, ხალისიანი, პირღიმილიანი, სიკეთის მთესველი.

მისი ხსოვნისთვის შემთხვევით არ შემირჩევია სათაურად **ნონეშვილის** სტრიქონები! აქ კიდევ დავამატებ: **„მასწავლებელი – დედაენაზე, მშობელ ენაზე შეყვარებული.“**

იგი ჭეშმარიტად იყო ასეთი.

„მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია“.

მედიკო ბერიანიძეს აქ საამაყო სახელიც დარჩა, ძვირფასი ოჯახი და აღზრდილების, კოლეგა-მეგობრების გულში უშრეტი ხსოვნა-სიყვარული.

იქ ნათელი დაგადგესა, მედიკო!

კოლეგა-მეგობრების სახელით **ბორის მიშველაძე, გაზეთ „სახალხო განათლების“** რედაქცია

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050
აღმასრ. რედაქტორი: ნათია გურგენიძე
593 422 258
გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს 402010587
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედკოლეგია
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ეკა მამუკაშვილი 599 944 592; კონსტანტინე გურგენიძე 592 777 181;
ნათია გურგენიძე 593 422 258; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; გერმანე საზანოელი 593 022 913;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge
ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N2 (4601)
30 მარტი / 2022 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან
ISSN 1987-9113